ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 16 დეკემბერი, 2015 №295 (6915) ფასი: 50 თეთრი



გვ.4

## გიგა ბუკია: „პენსიის 400 ლარამდე გაზრდა არარეალური დაპირებაა“

„ბიძინა ივანიშვილი თავის კოალიციას განცხადებებით დაეხმარება“

# ანასტასია ზაუტაშვილი: „ალეკო ელისაშვილმა თავად მითხრა, რომ შეწყალების კომისიაში განცხადება შემეტანა“



## ზაუტაშვილის ადვოკატი: „ზვიად ქორიძე პასუხისგებაში უნდა მიეცეს“

გვ.5

კოკა კაციტაძე: „ელისაშვილის მობილურში ჩინოსნების მესიჯები არ აღმოჩნდა"





გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „მანანა კობახიძისა და ეკა ბესელიას ბედი ივანიშვილის ხელშია“

## ზაზა დავითაია: „ელისაშვილის სკანდალი ნაციონალებს ცუდად შეუბრუნდება“





გვ.3

„მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიას მოვუწოდებ, პოლიტპატიმრების საქმეებს ხელახლა მიუბრუნდნენ“

## საბურთალოზე ქალმა მამაკაცი მოკლა




გვ.2

სასაფლაოსთან ნიღბიანებმა ორ ახალგაზრდას ცეცხლი გაუხსნეს



ISSN 1987-9385

## უკრაინის შს მინისტრმა ავაქოვმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა



კიევის სასამართლომ ოდესის გუბერნატორის წინააღმდეგ კოლომოისკის სარჩელი დააკმაყოფილა

გვ.4



კიევის აეროპორტში ეკა ზღულაძე 4 მილიონი დოლარით დააკავეს

ნათია ხურცილავა

# მაია ფანჯიკიძე: „იმედი მაქვს, რომ ვიზალიბერალიზაციას მივიღებთ“

## „ოპოზიციიდან ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ“

**ევროკომისიის მიერ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული ანგარიშის გამოქვეყნების თარიღმა გადაიწია. საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ გადადება საქართველოსთან არ არის დაკავშირებული.**

იგივეს ფიქრობს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი მაია ფანჯიკიძე. ის „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ ევროკომისიის მიერ მოხსენების გადადების მიზეზი შინაარსობრივი მხარეა.

**მაია ფანჯიკიძე:**

– ევროკომისიის მიერ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული ანგარიშის გამოქვეყნების გადადება ტექნიკური მიზეზით არის გამოწვეული და საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო არც ფედერიკა მოგერინის და არც სხვა პირების განცხადებაში.

ისინი აცხადებენ, რომ ეს მოხსენება დეკემბრის ბოლომდე გამოქვეყნდება. აღნიშნული მოხსენება ერთ და ორ დღეში არ იწერება. სექტემბერში დასრულდა იმ მისიის მუშაობა, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, რამდენად შეასრულა საქართველომ ყველა ვალდებულება. ეს მოხსენება რამდენიმე თვის განმავლობაში იწერებოდა.

***– თქვენი პარტია ამ მიმართულებით ძალიან აქტიურობდა.***

– ჩვენ ყველა შეხვედრაზე, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლებთან გვქონდა, ვახმოვანებდით პოზიციას, რომ საქართველომ ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლა აუცილებლად უნდა მიიღოს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის.

ეს არის საკითხი, სადაც ყველა



ერთიანი უნდა ვიყოთ. ყველამ უნდა ვიმუშაოთ, რომ საქართველომ ამ წარმატებას მიაღწიოს. ჩვენი პარტიის, ერთ-ერთმა ლიდერმა, ვიქტორ დოლიძემ, პარლამენტში მიმართვის ინიცირება მოახდინა, რომელიც ევროპელ კოლეგებთან გაიგზავნა სწორედ ვიზალიბერალიზაციის დადებითად გადაწყვეტის თხოვნით.

შეხვედრებზე ყველა ევროპელი კოლეგისგან გვესმოდა, რომ ეს მოხსენება დადებითი იქნება და საქართველოს მიერ შესრულებული სამუშაო შეფასებული იქნება მაღალ დონეზე.

***– ითქვა, რომ შეიძლება გადადება უკავშირდებოდეს უკრაინას, რომელმაც ბოლომდე ვერ შეასრულა ვალდებულებები და ბრიუსელი პირადად პრეზიდენტ პოროშენკოსგან ითხოვს გარანტიებს.***

– იმ მომენტში, როდესაც საქართველო და უკრაინა ერთად მოიხსენიეს, უსიამოვნო განცდა დამეუფლა, რადგან ტაქტიკური გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იყოს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიმართ ერთდროულად, მაგრამ რაც შეეხება ტექნიკურ შეფასებას, ეს საქართველოს დამოუკიდებელი საშინაო დავალება იყო და ის დამოუკიდებლად უნდა შეფასებულიყო და არ ყოფილიყო დაკავშირებული რომელიმე სხვა ქვეყანასთან.

მიუხედავად ამისა, მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ საქართველოს მიერ საშინაო დავალების შესრულება იქნება დამოუკიდებელი მოხსენება და იქ მხოლოდ საქართველოს მიერ ამ გეგმის შესრულებაზე იქნება საუბარი.

– ამიტომ, მე ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს არის მხოლოდ ტექნიკური შეფერხება ევროკავშირში, თუმცა რა მიზეზით არის ეს გამოწვეული, არ ვიცი, – აცხადებს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი.

***– ტექნიკური შეფასება არის პირველი ეტაპი, შემდეგი ეტაპი რა არის?***

– ეს არის პირველი ეტაპი, აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი. ამ ეტაპზე, ამ შეფასებაზე დაყრდნობით ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მიერ უნდა იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული. ეს თვეები, იანვრიდან ორი-სამი თვე განსაკუთრებით, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება დადებითი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

***– რა რჩევა შეგიძლიათ მისცეთ ხელისუფლებას, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით?***

– ამ ყველაფრისთვის საჭირო არის ინტენსიური პოლიტიკური და დიპლომატიური მუშაობა. დაწყებული საელჩოების დონიდან, რომელთაც ზეპირად უნდა იცოდნენ, თუ რა არის გაკეთებული, ასევე უნდა იცოდნენ, თუკი არის რამე სახის გამოწვევა დარჩენილი. ასევე ყოველდღიურ რეჟიმში უნდა იცოდნენ წინსვლის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ 28-ვე ქვეყანასთან უნდა იმუშაოს და ამ გზაზე მიიტანოს ჩვენი ქვეყნის წარმატების ამბავი.

შემდეგი ნაბიჯი არის უფრო მაღალი ეტაპი, ვგულისხმობ ქვეყნის პირველ პირებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ თავიანთ კოლეგებთან, პრეზიდენტებთან, პრემიერ-მინისტრებთან, პარლამენტის თავმჯდომარეებთან აქტიური კომუნიკაცია, რომ ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იყოს და უმაღლეს დონეზე მოხდეს მისი ლობირება.

***– ქალბატონო მაია, ცალკე პაკეტით რომ ვიყოთ წარმოდგენილი და არა – აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში, შეიძლება უკეთესი იყოს ჩვენთვის. შესაძლებელია, ამ კუთხითაც იყოს მუშაობა წარმოებული?***

– როდესაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი პირველად გაცხადდა, სადაც ექვსი ქვეყანა გაერთიანდა, ექვსივე ქვეყანას ერთნაირი სასტარტო პოზიცია ჰქონდა. შემდეგ, იმის მიხედვით, თუ რა ამბიციები აქვთ ამ ქვეყნებს და რა გეგმები, ზოგი დაწინაურდა და ზოგი ჩამორჩა ამ პროცესს.

***– ჩვენ სად ვართ?***

– საქართველო არის მოწინავეთა შორის, რადგან საქართველოს გაცხადებული მიზანი აქვს, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს.

მაია ფანჯიკიძის თქმით, 2015 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს უფრო ინდივიდუალურ მიდგომებს. იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს ქვეყანას, რა გეგმა და რა ამბიცია, მან შეიძლება ინდივიდუალურად მოირგოს ეს ფორმატი.

– ეს არის ძალიან კარგი ჩვენთვის, რადგან ეს მიდგომა საქართველოს ახალ შანსებს უხსნის, რომ მაქსიმალური მიიღოს ამ არსებული ფორმატიდან. ამდენად, ჩათვალეთ, რომ ეს არის ინდივიდუალური პაკეტი. ახლა მთავარია, ამ გახსნილ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყანა როგორ გამოიყენებს. ასევე ეს საერთო ფორმატი ერთმანეთში ურთიერთობაშიც გვეხმარება და კიდევ არის სტიმული, რომ დაწინაურებულ ქვეყნებს დაეწიონ, რასაკვირველია თუ ამის ამბიცია ექნებათ, – აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

***– დეკემბრის ბოლოსთვის თუ არ მოხდა შეფასების დოკუმენტის გამოქვეყნება და კიდევ გადაიდო, შეიძლება სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ? თუ ფედერიკა მოგერინის განცხადება ძალაში დარჩება და ვიზების ლიბერალიზაციას მივიღებთ შენგენის ზონაში?***

– მე მინდა ოპტიმისტი ვიყო, რადგან ეს საქართველოსთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო. თუ 22-23 დეკემბრამდე ვერ მივიღეთ შეფასება ევროკომისიისგან და ეს პროცესი იანვრისთვის გადაიწევს, მაშინ გვექნება საფუძველი, რომ შევშფოთდეთ და დავიწყოთ მიზეზების კვლევა, მაგრამ მანამდე ყველას სიმშვიდისკენ მოვუწოდებ.

რაც მთავარია, უნდა ვენდოთ ევროკავშირს. თუკი ის ამბობს, რომ ამ ყველაფერს ტექნიკური მიზეზი აქვს, ჩვენ უფლება არ გვაქვს, ევროკავშირის განცხადებაში ეჭვი შევიტანოთ. იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი წარმატებით დაგვირგვინდება.

# საბურთალოზე ქალმა მამაკაცი მოკლა

## სასაფლაოსთან ნიღბიანებმა ორ ახალგაზრდას ცეცხლი გაუხსნეს



გუშინ, 15 დეკემბერს, საბურთალო კრიმინალურ რაიონად იქცა.

ჯერ დღის პირველ ნახევარში საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელმა პირებმა ორ ახალგაზრდას ცეცხლი გაუხსნეს.

სროლის შედეგად არავინ დაღუპულა და ორმა მამაკაცმა მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელები ნიღბით იყვნენ და მათ მიმალვა მოახერხეს. დაზარალებულებს პირველადი დახმარება ადგილზევე გაუწიეს, რის შემდეგაც ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაზარალებულებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

შსს-მ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. გამოძიება ასევე მიმდინარეობს 236-ე მუხლითაც, რომელიც იარაღის უკანონო ტარება-შენახვას ეხება.




გუშინვე საღამოს ვაჟა ფშაველას მეორე კვარტალში მკვლელობა მოხდა.

ქალმა მამაკაცს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც მამაკაცი გარდაიცვალა. ქალმა თვითონ გამოიძახა პოლიცია შემთხვევის ადგილზე.

მოკლული 1974 წელს დაბადებული ზუგდიდის მკვიდრია.

ამ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს 108-ე მუხლის მიხედვით, რომელიც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ბარაკ ობამამ ირაკლი ღარიბაშვილი ვაშინგტონში მიიწვია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე იწვევს, რომელიც ვაშინგტონში 2016 წლის 31 მარტიდან პირველ აპრილამდე გაიმართება.

აშშ-ის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ღონისძიების ფარგლებში უმასპინძლებს თავისუფალ და ღია დიალოგს იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღება შესაძლებელია გლობალური ბირთვული უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

– ვიმედოვნებ, შემომიერთდებით მუშაობაში ამ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, მე განვიხილავ ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დამატებითი ვალდებულებების საკითხს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები განაცხადებს 2016 წლის სამიტზე.

საქართველომ ცხადყო გლობალური ბირთვული უსაფრთხოების მტკიცე მხარდაჭერა, რაც აისახა კიდეც ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის კონვენციის შესწორებული ვარიანტისა და ბირთვული ტერორისტული აქტების აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებასა და ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივის წევრობაში. სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ჩვენ დავამტკიცებთ სამიტზე, ასახულია კონკრეტული ზომები, რომლებსაც ჩვენ, როგორც შესაბამისი ინსტიტუტებისა და ინიციატივების წევრები, მივიღებთ, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ბირთვული უსაფრთხოების სტრუქტურა. მივესალმები თქვენ მოსაზრებებს იმ გზების შესახებ, რომლებიც დაგვეხმარება 2016 წელსა და მის შემდგომ სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებაში. ბირთვულ კონტრაბანდასთან ბრძოლა დღესაც მნიშვნელოვანი საკითხია ბირთვული უსაფრთხოების სამიტის ფარგლებში.

გამოვთქვამ იმედს, რომ საქართველო მომავალშიც განსაკუთრებულ ძალისხმევას გამოიჩენს, რათა წინ აღუდგეს მარეგულირებელი კონტროლის მიღმა ბირთვული და რადიოლოგიური მასალების არსებობას და პარტნიორ ქვეყნებს გაუზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ამ სფეროში. ისევე, როგორც მისი წინამორბედები, 2016 წლის ბირთვული უსაფრთხოების სამიტი მნიშვნელოვანი იქნება მსოფლიოს მასშტაბით ბირთვული ტერორიზმისგან თავდაცვის განმტკიცების მხრივ. იმედის თვალით შევყურებ თქვენს ვიზიტს ვაშინგტონში მომავალი წლის გაზაფხულზე, რათა ერთად აღვნიშნოთ მიღწეული პროგრესი და დავსახოთ უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოს უზრუნველყოფის გზები, – ნათქვამია ბარაკ ობამას მიწვევის წერილში, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო.

აშშ-ის პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახლახან მიიღო ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის კონვენციის შესწორებული ვარიანტი და ბირთვული ტერორისტული აქტების აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, რომლებიც ძალაში წლის ბოლომდე შევა.

– რადგან ეს იქნება ამ ფორმატის ბოლო სამიტი, ჩვენ გვეძლევა განსაკუთრებული შესაძლებლობა, გავაძლიეროთ მნიშვნელოვანი საერთაშო-



რისო ინსტიტუტები და ინიციატივები, რომლებიც შეადგენენ ბირთვული უსაფრთხოების ქვაკუთხედს. ჩვენი, როგორც ლიდერების, ვალდებულებაა სამიტის მიერ უზრუნველყოფილი მუხტის შენარჩუნება, რათა მზარდი საფრთხეების ფონზე განვაგრძოთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა განსაკუთრებული ბირთვული მასალების უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ბირთვული მასალების კონტრაბანდის პრევენციისკენ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, არ მოვადუნოთ ყურადღება და შევამციროთ საფრთხეები, სანამ ისინი არსებობენ, – ნათქვამია ბარაკ ობამას მიწვევის წერილში.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „მანანა კობახიძისა და ეკა ბესელიას ბედი ივანიშვილის ხელშია“

ნონა ცაბაძე

**შეწყალების კომისიის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ვაშაძეც, ეხმაურება.**

– ვიდრე ალეკო ელისაშვილი გააკეთებდა განცხადებებს, მანამდეც იყო ამაზე საუბარი, რომ ეს ადამიანები, ბესელია და კობახიძე, ჩართულები იყვნენ ამ შეწყალების კომისიის საქმეში. არა მარტო საუბარი იყო, თავის დროზე, ე.წ. პოლიტპატიმრების სიები რომ გააკეთეს, იქ ძალიან ბევრი საეჭვო ადამიანი მოხვდა. ისიც დიდ ეჭვს იწვევდა, რომ მაინცდამაინც მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირები მოხვდნენ შეწყალებულთა თუ პოლიტპატიმრების სიაში, – აცხადებს ვაშაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– საუბარია, რომ ეს მიზანმიმართული და ცილისმწამებლური პროცესია.***

– ეჭვები დიდია. საქართველო პატარა ქვეყანაა და არაფერი იმალება! შემთხვევით ასეთი საკითხები არ წამოიწევს ხოლმე. პირდაპირ გეტყვით, რომ მე ალეკო ელისაშვილის განცხადებას უფრო ვენდობი, ვიდრე ეკა ბესელიას და მანანა კობახიძის განცხადებებს.

***– რატომ ენდობით ელისაშვილს უფრო მეტად? რადგან თქვენს მოსაზრებებს ემთხვევა?***

– არა იმიტომ, რომ ჩვენს მოსაზრებებს ემთხვევა. ღიად გეტყვით, ელისაშვილი უფრო ისეთი ტიპაჟია, რომელიც შემთხვევითობით და უბრალო დაბრალებებით არ შემოიფარგლება ხოლმე. თითქოს უნდა, რომ რაღაც გულწრფელად თქვას. არაერთი მკაცრი განცხადება გაუკეთებია ნაციონალურ მოძრაობაზეც, რომლებიც ხშირად არ მომწონებია. გადაწყვიტა ადამიანმა ისაუბროს იმ პრობლემაზე, რასაც ხედავს.

***– იმაზეც საუბრობენ, რომ ალეკო ელისაშვილი თქვენს ინტერესს ემსახურება.***

– ეს საბავშვო ბაღის დონის არგუმენტია. ყველა ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს და ყველას, ვინც აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქვს საკუთარი აზრი. ვფიქრობ, რომ ზუსტად გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობით გამოთქვა ეს აზრი ელისაშვილმა, რომელიც იყო ამ კომისიაში. მე უფრო სხვა რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

***– რაზე?***

– ამ პროკურატურის საერთოდ არ მჯერა.

***– თქვენი დროინდელი პროკურატურა ჯობდა?***

– მე დღევანდელ პროკურატურაზე ვსაუბრობ, რომელიც მიკერძოებული და პოლიტიზებულია და არის პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის გავლენის და მართვის ქვეშ. ბესელიას და კობახიძის ბედი დამოკიდებულია ერთადერთ ადამიანზე, ეს გახლავთ ბიძინა ივანიშვილი.

***– ივანიშვილი რა შუაშია?***

– თუ ის გადაწყვეტს, რომ ამ ადამიანებმა პასუხი აგონ მათ მიერ ჩადენილ ქმედებაზე, აგებენ პასუხს, ხოლო თუ გადაწყვეტს და შეიწყალებს, მაშინ ამ ადამიანებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცემს. ყველაფერი დამოკიდებულია მის ნებაზე. სწორედ ამიტომ არის ასეთი არანორმალური პროცესი საქართველოში.

***– არანორმალურში რას გულისხმობთ?***

– რა მნიშვნელობა აქვს, პროკურატურაში მივა ელისაშვილი, მივა ბესელია თუ კობახიძე, ან თუნდაც ღარიბაშვილი მივიდეს. ამას მნიშვნელობა არ აქვს. მხოლოდ ერთი კაცის აზრს აქვს მნიშვნელობა, რომელიც იტყვის ან – ასე, ან – ისე. როგორ გადაწყვეტილებასაც მიიღებს, სწორედ ისე იქნება კობახიძისა და ბესელიას ბედი.

***– გჯერათ, რომ მათ სერიოზული თანხა აიღეს?***

– მე უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ეს ადამიანები ხშირად არღვევენ ხოლმე უდანაშაულობის პრეზუმპციას. თქვენს კითხვაზე კი პირდაპირ გეტყვით, რომ მაქვს სერიოზული ეჭვი.

ეს პირველად არ ხდება, როცა ბესელიასა და კობახიძეზე ასეთ რამეს ამბობენ. ეს ეჭვები და ეს საუბრები აქამდეც იყო. წესით, აქამდეც უნდა დაინტერესებულიყო ამ საქმით კომისია. დაველოდოთ, რა მოხდება. თუმცა დღეს ეს ყველაფერი დამოკიდებულია არა სამართლიან სასამართლოზე, არა პროკურატურაზე, არამედ ბიძინა ივანიშვილის განწყობებსა და გადაწყვეტილებებზე.

***– როდესაც კოკაინის გახმაურებულ საქმეზე მიდის საუბარი, კეთდება განცხადებები, რომ ეს ნარკოტიკი მათ ნაციონალების დავალებით ჩაუდეს, რომ თქვენი ხელისუფლება ყოველთვის ასე მუშაობდა და რომ უმეტესად უდანაშაულო ადამიანები ისხდნენ ციხეში. ამაზე რას უპასუხებთ?***

– რამდენი ჩაუდეს, ხომ ვერ მეტყვით? ორ კილო ნარკოტიკზეა საუბარი! საერთოდ რაზე ლაპარაკობენ? ვინმემ რომ თქვას, რომ სამი გრამი კოკაინი ვიღაცას ჩაუდეს და დააკავეს, ეს კიდევ მესმის, მაგრამ ორი კილო?!

ან რა პოლიტიკური ღირებულებების იყო ის, ვინც დააკავეს? ვის რა ინტერესი უნდა ჰქონოდა მის მიმართ? ჰქონდა მას რამე ღირებულება? ორი კილო კოკაინი რომ ვინმემ ჩაუდოს ვინმეს, რაღაც ღირებულება ხომ უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს?! არავისთვის ნაცნობი ადამიანი არ არის და ვლაპარაკობთ ორი კილო კოკაინის ჩადებაზე! ეს, უბრალოდ, სასაცილოა. ამის დაბრალება ალბათ მსოფლიო პრაქტიკაში არ იქნება, როგორ უნდა ჩაუდო ორი კილო კოკაინი?! ეს ძალიან დიდი რაოდენობაა.



***– გადაიყოლებს ეს სკანდალი „ოცნებას“?***

– ყველა, ვინც არის „ოცნებაში“, პარლამენტში, მთავრობაში, ყველა არის ნულ პროცენტიანი! ერთადერთი, რასაც აქვს პროცენტი, არის ბიძინა ივანიშვილის ფული! ამ ფულს აზის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გადაწყვეტს – ვის სიკვდილი, ვის ჩამოხრჩობა! მორჩა და დამთავრდა, რეალური სურათი ასეთია!

***– რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში? გვახსოვს გასული კვირა, როგორი სკანდალი აგორდა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით. გამოქვეყნდა თქვენი ფარული ჩანაწერიც. იშლება ნაცმოძრაობა, რეალურად არსებობს დაპირისპირება თუ რა ხდება თქვენს შორის?***

– ნაციონალურ მოძრაობაში რომ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა, ეს ახალი არ არის. ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს. თუ ყველაფერი კარგად არის აწყობილი პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა და კამათი პრობლემას არ ქმნის, პირიქით, ეს ჯანსაღი პროცესია. რაც შეეხება მოსმენებს, პირდაპირ გეტყვით, რომ არც ვაპირებ ამაზე კომენტარის გაკეთებას.

***– არ არის ეს საუბარი ავთენტური?***

– ჩემი საუბარიც გამოქვეყნდა და გეტყვით, რომ ეს იყო რამდენიმე საუბრისგან, რამდენიმე ეპიზოდისგან შეკრული საუბრები. ადამიანი უშუალოდ საუბარში რას იტყვის და როგორ იტყვის, ამას სხვა ყური რომ უსმენს, ეს ცუდი მოსასმენია. მარტო სხვისთვის კი არა, პირადად შენთვისაც რთული მოსასმენია.

ფაქტი ის არის, რომ ხელისუფლება გვისმენს. მას უარი არ უთქვამს მოსმენებზე. ახლა, უბრალოდ, დაამუღამეს რუსეთში რეგისტრირებულ საიტებზე ამ ყველაფრის ატვირთვა, რომელზეც ამბობენ, უკრაინულიაო, რაც ძალიან სასაცილოა. უკრაინას არაფერში სჭირდება და არ აინტერესებს ამ ტიპის საუბრების გამოქვეყნება. საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხში რუსეთი ეხმარება.

***– პარტიის თავმჯდომარეზე უარი თქვით, რატომ, შეუცვლელია სააკაშვილი?***

– პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ ჩვენ არ ვაპირებთ თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებას. ეს პოსტი ვაკანტურია. არ ეყოლება პარტიას თავმჯდომარე და მორჩა! გვყავს პოლიტიკური საბჭო, პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე, იმდენი თანამდებობა გვაქვს ნაციონალურ მოძრაობაში, რომ უთავმჯდომარეობას როგორმე ავიტანთ.

# ზაზა დავითაია: „ელისაშვილის სკანდალი ნაციონალებს ცუდად შეუბრუნდება“

## „მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიას მოვუწოდებ, პოლიტპატიმრების საქმეებს ხელახლა მიუბრუნდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

**რას ითხოვენ ყოფილი პოლიტპატიმრები პარლამენტისგან, ვინ ერეოდა უხეშად პოლიტპატიმრების სიის შედგენაში, რისი ეშინიათ ნაციონალებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ყოფილი პოლიტპატიმარი, „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი ზაზა დავითაია ესაუბრება.**

**ზაზა დავითაია:**

– ისევე, როგორც მედალს, ალეკო ელისაშვილის სკანდალურ განცხადებასაც 2 მხარე აქვს. მე, როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, მისი განცხადების მიმართ პროტესტი გამიჩნდა. ჩემი თანამოაზრეების მსგავსად, მეც ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ემსახურება პოლიტპატიმრების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნას. ეს პროცესი ნაციონალური მოძრაობის მიერ იმართება.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პოლიტპატიმრების თემის დისკრედიტაციით საკუთარი თავის რეაბილიტაციას შეეცდებიან. ასე ნამდვილად არ მოხდება და ალეკო ელისაშვილის აგორებული სკანდალი მათ ცუდად შეუბრუნდება.

***– რატომ გგონიათ, რომ ეს სკანდალი მათ შეუბრუნდება ცუდად?***

– ყოფილმა პოლიტპატიმრებმა უკვე ოფიციალურად მოითხოვეს მათი საქმეების ხელახალი გამოძიება. არ გამოვრიცხავ, რომ, შესაძლოა, რამდენიმე ადამიანს მართლაც არ ეკუთვნოდა პოლიტპატიმრის სტატუსი, მაგრამ



ვერავინ დამაჯერებს, რომ მათი სიაში ჩასმით ვინმემ ფული აიღო. ყოფილი პოლიტპატიმრების საქმეების ხელახალი გამოძიება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

***– საქმეების ხელახალ გამოძიებას ყველა ეთანხმება თუ გამონაკლისებიც არიან?***

– წესით, ყველა უნდა დათანხმდეს. ვინც ამაზე უარს იტყვის, დაადასტურებს, რომ პოლიტპატიმრის სტატუსის ტარების ღირსი არ არის. ხელისუფლებამ რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს ამ საქმეების გამოძიება. ეს ძნელი არ უნდა იყოს, რადგან სულ 190 საქმეზეა საუბარი. პარლამენტმა სულ 190 ადამიანს მიანიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი. მოქმედმა ხელისუფლებამ ისედაც დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ეს საქმე შუა გზაში მიატოვა და მხოლოდ სტატუსი მიანიჭა, მათი უკანონოდ დაპატიმრების გამო კი დამნაშავე მოსამართლეებსა და პროკურორებს პასუხი არ აგებინა.

გამოიძიონ ეს საქმეები და თუ აღმოჩნდება, რომ ვიღაც მართლა კანონიერად იჯდა ციხეში, მათი ბრალეულობა ნაციონალებს პოლიტიკურ ქულად ჩაეწეროთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტატუსის მატარებელი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა გამართლდება ობიექტური სასამართლოს წინაშე. ამით სისტემური დანაშაულის მხილებაც მოხდება. ელისაშვილის განცხადება, კიდევ გეუბნებით, ცუდად შეუტრიალდება ნაციონალებს და მათთან კოაბიტირებულ მეოცნებეებს.

***– ზაზა, თქვენ 190 ადამიანის საქმის გადახედვას ითხოვ, მაგრამ არაფერი გითქვამთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც პოლიტპატიმრის სტატუსი ვერ მიიღეს, მათ რიგებში თავადაც ხართ. თქვენი საქმეების გადახედვას თუ მოითხოვთ?***

– ამას ჩვენ დიდი ხანია ვითხოვთ. ჩვენ პოლიტპატიმრის სტატუსს რიგი მიზეზების გამო ვერ ვეღირსეთ. პარლამენტმა როცა დაიწყო პოლიტპატიმრების საქმის განხილვა, არსებობდა საერთო სია, სადაც შეყვანილი იყვნენ როგორც ციხეში მყოფი, ასევე უკვე თავისუფლებაზე გამოსული პოლიტპატიმრები. ჩვენი მთავარი „დანაშაული“ ის იყო, რომ მანამდე მოვიხადეთ სასჯელი, სანამ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვლებოდა. პირადად მე, როგორც იტყვიან, ზარიდან ზარამდე მოვიხადე უკანონოდ მისჯილი სასჯელი.

პოლიტპატიმრის სტატუსის გარეშე დარჩნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან ირაკლი ბათიაშვილი, ნორა კვიციანი. სულ 70 ადამიანზეა საუბარი.

***– თქვით, რომ თქვენი მთავარი „დანაშაული“ ის იყო, რომ ხელისუფლების შეცვლამდე გამოხვედით ციხიდან. მხოლოდ ეს იყო მიზეზი?***

– ეს ამერიკის რეაქციული ძალების დამსახურებაა. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ პოლიტპატიმრების რიცხვს ნაციონალებისთვის საშიშ ნიშნულამდე არ მიეღწია. ამიტომ პოლიტპატიმრის სტატუსი მხოლოდ 190 ადამიანს ერგო, 70 კი ისე დარჩა. არადა, ჩვენ პირველებმა ვიწვნიეთ ჩვენს თავზე იმ რეჟიმის სისასტიკე.

***– თუ პარლამენტმა ხელახლა დაიწყო პოლიტპატიმრების საქმეების განხილვა, თქვენი საქმეებიც გადაიხედება?***

– ბედის ირონიით, ჩვენ ამის შესაძლებლობასაც მოკლებული ვართ. ამიტომ მათი სახელით მივმართავ პარლამენტს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ საკითხის განხილვა. ამნისტიის კანონში არსებობდა მეოთხე მუხლი, რომელიც უსტატუსოდ დარჩენილი პოლიტპატიმრებისთვის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. პარლამენტმა გარკვეული ძალების გავლენით ეს გადაწყვეტილება არ მიიღო.

***– რა ძალებზეა საუბარი?***

– მეოთხე მუხლის ამოქმედებას ხელი რესპუბლიკელებმა შეუშალეს. საქმეში ამერიკელებიც ჩაერივნენ და სრულიად უსაფუძვლოდ დაგვტოვეს ამ სტატუსის გარეშე.

***– ასე პირდაპირ გითხრეს, ამის და ამის გამო არ გაძლევთ სტატუსსო?***

– გვითხრეს, ჯერ ის ხალხი გამოვიყვანოთ, ვინც ციხეში ზის და მერე ყველას ერთად მოგხედავთო. დაგვპირდნენ, რომ შეიქმნებოდა ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელიც გადახედავდა საქმეებს. ამ საქმეების გადახედვას საშველი არაფრით დაადგა.

ვისარგებლებ თქვენი გაზეთის საშუალებით და ხელისუფლებას ამ დანაპირებს შევახსენებ. ისინი ვალდებული არიან, გადახედონ უსტატუსოდ დარჩენილთა საქმეებს და სტატუსი მოგვანიჭონ. თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ჩვენგანი სამართლიანად ჩასვეს ციხეში, დაე, თავიდან მოახდევინონ სასჯელი. მე თუ დამიმტკიცდება, რომ სამართლიანად ჩამსვეს, მზად ვარ, ახლავე წავიდე ციხეში და თავიდან მოვიხადო სასჯელი.

***– აკო მინაშვილი ითხოვს, რომ მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდეთ. ამაზე რას ფიქრობთ?***

– მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების მიმართ უამრავი შენიშვნა მაქვს, აკო მინაშვილს და მისთანებს მინდა მივმართო, ხელები შორს ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძისგან.

***– რა შენიშვნები გაქვთ მათი მისამართით?***

– მათ ბოლომდე ვერ მიიყვანეს პოლიტპატიმრების საქმე. მათ ბოლომ-

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიგა ბუკია: „პენსიის 400 ლარამდე გაზრდა არარეალური დაპირებაა“

მარიამ მჭედლიშვილი




## „ბიძინა ივანიშვილი თავის კოალიციას განცხადებებით დაეხმარება“

**ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელიც მმართველ კოალიციას ბოლო დროს უყენებენ, უმძიმესი სოციალური ფონის არსებობაა. „ქართული ოცნების" ოპონენტების შეფასებით, ხელისუფლებამ ვერ გაატარა კომპლექსური ღონისძიებები სიღარიბისა და სიღატაკის დასაძლევად.**

პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ეს უსაფუძვლო ბრალდებებია.

**გიგა ბუკია:**

– ხელისუფლება შეძლებისდაგვარად აუმჯობესებს ხალხის მდგომარეობას. ჩვენ უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო. სამ-ოთხ წელიწადში როგორ უნდა დაძლიო სრულად სიღარიბე და სიღატაკე? ვინც ასეთ მოთხოვნებს გვიყენებს, მას არასწორი მიდგომები, ან არასწორი წარმოდგენა აქვს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე.

დიდი თანხები ხმარდება სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ესაა, პირველ რიგში, საყოველთაო ჯანდაცვა. ჩვენამდე საყოველთაო ჯანდაცვა არ არსებობდა.

***– მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მაინც მძიმეა.***

– ამ ხელისუფლების ხელშეწყობით კერძო სექტორში შეიქმნა 90 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. განხორციელდა ხვნა-თესვის პროგრამა.

***– ითვლება, რომ ასეთი ერთჯერადი აქციებით სოფელს არ ეშველება.***

– ეს ხელს უწყობს იმას, რომ სოფლად ადამიანმა თავის რჩენა შეძლოს. საუბარი არ არის მის გამდიდრებაზე. მნიშვნელოვანია მთის კანონის ამუშავება. მეწარმეს, რომელიც მთაში რაიმე ბიზნესს დაიწყებს, დიდი შეღავათები ელის.

ნურავის დაავიწყდება, რა დღეში იყო ჩავარდნილი ბიზნესი, როგორ ატერორებდა მას წინა ხელისუფლება. ახლა ბიზნესმენები მშვიდად არიან.

***– თუმცა, პრობლემები ბევრია.***

– ზოგ ადამიანს საკუთარ თავზე არ უგრძნია სიახლე და სიკეთე. დარწმუნებული ვარ, რომ აბრეშუმის გზის ამოქმედება, ანაკლიის პორტის ამუშავება და სხვა პროექტები უფრო მეტ ადამიანს მოუტანს კეთილდღეობას. ჩვენი გზა სწორია, ვისაც რაიმე წინადადება აქვს, მოგვმართოს.

***– საქართველოს მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაზე აკეთებენ აქცენტს ახალი პოლიტიკური მოთამაშეები. მაგალითად, ლეონიდ ჩერნოვეცკის პარტია.***

– ჯერჯერობით, დეკლარირების გარდა, ამ ახალი ძალებისგან არაფერი მოგვისმენია. მათი დაპირება, პენსიის 400 ლარამდე გაზრდის შესახებ, არარეალურია. მოსახლეობა ასეთ ბრჭყვიალა დაპირებებს არ დაუჯერებს. ერთია სურვილი და მეორე – რეალობა. არავის გააჩნია ჯადოსნური ჯოხი, რომ უცებ პენსია 400 ლარი გახადოს. ეს არის ფრთიანი ფრაზები და არა პროგრამა. თუ რეალურ პროგრამას წარმოადგენენ, მაშინ ვნახოთ. თუმცა, ძალიან მეეჭვება, რომ ამ დაპირების შესრულება შეიძლებოდეს.

***– ახალი მოთამაშეების გარდა, პოლიტიკურ ველზე არიან ძველი პარტიებიც. ნაციონალური მოძრაობა ისევ მეორე ძალად ითვლება?***

– ყველაფერს 2016 წლის არჩევნები წარმოაჩენს. ბოლო არჩევნები თვითმმართველობისა იყო. იქ მეორე ადგილზე გავიდა ნაციონალური მოძრაობა.

***– ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი საარჩევნოდ იაქტიურებს. მაინც რა იგულისხმება ამაში?***

– „ქართული ოცნების“ კოალიცია ბიძინა ივანიშვილის შექმნილია. ჩვენ ვაგრძელებთ იმ გზას, რომელიც მან დასახა. ბიძინა ივანიშვილი იაქტიურებს განცხადებებით, ანალიზით. ის აუხსნის ამომრჩეველს, თუ რატომ უჭერს მხარს ამ ძალას. ბიძინა ივანიშვილი რომ არ მოსულიყო ხელისუფლებაში 2012 წელს, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

# უკრაინის შს მინისტრმა ავაქოვმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა

## კიევის სასამართლომ ოდესის გუბერნატორის წინააღმდეგ კოლომოისკის სარჩელი დააკმაყოფილა

შორენა მარსაგიშვილი



**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნელ-ნელა უკრაინის ხელისუფლების ოპოზიციაში გადადის. პრემიერ არსენ იაცენიუკთან დაპირისპირების შემდეგ ოდესის ოლქის გუბერნატორი უკვე შს მინისტრ არსენ ავაქოვს მიახტა, რომელმაც მას სახეში წყალი შეასხა.**

უკრაინული საიტების ცნობით, ავაქოვი სააკაშვილს სულ ბოლო ხმაზე უყვიროდა, ჩემი უკრაინიდან გაეთრიეო. სოციალურ ქსელებში ახლა უკრაინელები იმაზე ხუმრობენ, როგორ ვერ იყოფენ სომეხი და ქართველი მათ ქვეყანას.

მათგან განსხვავებით, სააკაშვილს სახუმაროდ ნამდვილად არა აქვს საქმე. რამდენიმე დღის წინ მას პეტრო პოროშენკოს ბლოკის წევრებმა კორუმპირებული უძახეს და ამის დამამტკიცებელი ფაქტებიც წარმოადგინეს.

რადას დეპუტატ სერგეი ლეშენკოს ინფორმაციით, სააკაშვილის მიმართ პრეტენზიები იაცენიუკმაც გამოხატა და მას ქვეყნის დატოვება მოსთხოვა.

– პრემიერ-მინისტრმა იაცენიუკმა სააკაშვილს გასტროლიორი უწოდა და მოუწოდა, რომ უკრაინიდან წავიდეს. ამაზე კი მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა, რომ ის უკრაინის ისეთივე მოქალაქეა, როგორიც იაცენიუკი. განსხვავება ის არის, რომ მას ქვეყანა არ გაუძარცვავს. – აღნიშნა ლეშენკომ.

სერგეი ლეშენკომ ფეისბუქის საკუთარი გვერდის მეშვეობით უკრაინას ამცნო სააკაშვილისა და შს მინისტრ ავაქოვის წაკიდების ამბავიც.

– მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მოხსენება დაასრულა, ავაქოვმა მისი მიმართულებით პრეტენზიები გამოხატა. შს მინისტრმა აღნიშნა, რომ სააკაშვილმა მოხსენება კი არ გააკეთა, ისე გამოვიდა, როგორც ტოკშოუებში. შს მინისტრმა გუბერნატორს ქურდი უწოდა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, რომ მას, პატიოსანი ადამიანის სახელის გარდა, არაფერი აქვს. ამის შემდეგ არსენ ავაქოვმა სააკაშვილს წყლით სავსე ჭიქა ესროლა და მოუწოდებდა, რომ უკრაინიდან წათრეულიყო, – იუწყება ლეშენკო.

მისი შეფასებით, ის, რაც სააკაშვილსა და ავაქოვს შორის მოხდა, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ომი.

სააკაშვილთან ომის დეტალებზე თავად შს მინისტრმაც ისაუბრა. მან ერს ინფორმაცია ფეისბუქის მეშვეობით მიაწოდა.

– ცოტა ხნის წინ სააკაშვილს დავუსვი კითხვა, რატომ ჰქონდა ურთიერთობა ურალხიმის რუს ოლიგარქთან და რამდენად ეხება ეს ოდესის საპორტო ქარხანას. ვიკითხე ისიც, როგორ არის ეს დაკავშირებული ამ ქარხნის პრივატიზაციასთან. ამ კითხვების მოსმენის შემდეგ მან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, – იუწყება ავაქოვი.

შს მინისტრის მონათხრობიდან ჩანს, რომ ჩვენებურს მისთვის ტონი დაუწუნებია და არც კომპლიმენტები დაუკლია.

– ოდესის გუბერნატორი ისტერიკაში ჩავარდა და ყვირილი დამიწყო: არავის აქვს უფლება, მიხეილ სააკაშვილს ასე ელაპარაკოს... შე კორუმპირებულო მინისტრო, მე კი პატიოსანი ადამიანი ვარ, – აღნიშნა შს მინისტრმა.

ავაქოვის განცხადებით, სააკაშვილი პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადავიდა. მინისტრი აშკარად დააფრთხო მისმა მრისხანებამ, რადგანაც, როგორც თავად ამბობს, ასეთი რამ უკვე დიდი ხანია არ უნახავს, ამასთან, აღიარებს, რომ თავს კონტროლი სანახევროდ გაუწია.

– მე თავი შევიკავე, რომ მისთვის არ გამერტყა და სახეში წყალი შევასხი. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი შეშლილი პოპულისტი... არაფრის თქმის საშუალებას არ იძლეოდა, ყველას აწყვეტინებდა, მათ შორის პრეზიდენტსაც, – ამბობს არსენ ავაქოვი.

ის სააკაშვილს აგრესიულ არამზადას უწოდებს და პირობას დებს, რომ მის გამოხდომებს აღარ აიტანს.

– სააკაშვილი არის ყბედი, რომელიც არაფერზე პასუხს არ აგებს. საკმარისია ჩემთვის არტისტები და ცირკის მსახიობები. საჭიროა მუშაობა და არა მეტიჩრობა! უხერხული კითხვები ისტერიკას იწვევს? საკმარისია... არ ვაპირებ, ავიტანო აგრესიული არამზადა, რომელიც ხმამაღალ საბაბს ეძებს თანამდებობის დატოვებისთვის, რომელმაც ჩააგდო სამუშაო თავის უშუალო სამუშაო ადგილზე. არ ვაპირებ, ავიტანო თავხედი, რომელიც ჩემს ქვეყანას ატყუებს ლამაზი პოზით – ყველა ნეხვია, ის კი სუფთა, – ცეცხლებს ყრის ფეისბუქზე ავაქოვი.

მისი განცხადებით, კორუმპირებულები უნდა დააპატიმრო, კი არ უნდა ილაპარაკო მათზე თვეობით და არ წარმოადგინო ფაქტები.

– თუ საყვარელიძე ამ ქარხნით

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ზაზა დავითაია: „ელისაშვილის სკანდალი ნაციონალებს ცუდად შეუბრუნდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დე ვერ მიიღეს ყველა ზომა, რომელიც ჩვენ დასაცავად იყო საჭირო და შუა გზაში მიგვატოვეს.

იმ კომისიის წევრი მეც ვიყავი, რომელიც პოლიტპატიმრების საქმეებს განიხილავდა. კომისიაზე ანგარიშების თვალსაზრისით არავის საქმე არ განხილულა. ყველა საქმეს სკრუპულოზურად განვიხილავდით. დაუმსახურებლად პოლიტპატიმრის სტატუსი არავის მიუღია.

მეტსაც გეტყვით, რამდენიმე ადამიანს, რომლებიც იმსახურებდნენ პოლიტპატიმრობას, ეს სტატუსი არ მიანიჭეს. იმ კომისიაზე მე ჰელსინკის ჯგუფს წარმოვადგენდი. ამ ადამიანებისთვის სტატუსის მინიჭებას მე კი დავუჭირე მხარი, მაგრამ ხმათა უმრავლესობით საკითხი სხვანაირად გადაწყდა.



***– იმ ადამიანების დასახელება შეგიძლიათ, ვისაც სტატუსი არ მიანიჭეს? და ისიც დავაკონკრეტოთ, ეს პიროვნებები იმ მომენტისთვის პატიმრობაში იმყოფებოდნენ?***

– კი, პატიმრობაში იყვნენ. იმ დროისთვის უკვე შეთანხმებული ვიყავით, რომ მხოლოდ ციხეში მყოფების საქმეებს განვიხილავდით. ვისაც სტატუსი არ მიანიჭეს, მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ და მხოლოდ ერთ მათგანს დავასახელებ. პოლიტპატიმრის სტატუსი არ მიანიჭეს ირაკლი დოკვაძეს. კომისია მისი საქმის განხილვას გაექცა. ეს ადამიანი დღეს სასიკვდილო შიმშილობაზეა.

***– რა იყო ამის მიზეზი?***

– ირაკლის უმკაცრესი სასჯელი ჰქონდა. კომისიის წევრებს შეეშინდათ, რომ თუ მის საქმეს განიხილავდნენ, ნაციონალები ამას ცუდად გამოიყენებდნენ და მისი საქმე გახდებოდა ის იარაღი, რომელსაც ნაციონალები სხვა პატიმრების წინააღმდეგაც გაისროდნენ. იყო საშიშროება, რომ დანარჩენების საქმეების განხილვაც ჩაილურის წყალს დალევდა.

შესაძლოა, ასეც მომხდარიყო,




მაგრამ მისი საქმის ასე დატოვება დიდი უსამართლობა იყო. ირაკლი დოკვაძე რეალურად იმსახურებდა ამ სტატუსს. ამაზე მეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მის სასარგებლოდ ხელი ავწიე.

მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას მოვუწოდებ, ხელახლა მიუბრუნდნენ პოლიტპატიმრების საქმეებს და ეს სია შეავსონ. და ამ სიის შევსებით უნდა დაიწყოს ნაცმოძრაობის განკითხვა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ დადგება მათი განკითხვის ჟამი? ახლა ისინი განიკითხავენ მეოცნებეებს პოლიტპატიმრების გამო.***

– პოლიტპატიმრების საქმეების ხელახალი გადახედვა და მათი ბოლომდე მიყვანა ნაციონალებისთვის პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმნის ჩაჭედება იქნება. ამით მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ მათ საქართველოში მართლაც რეჟიმი ჰქონდათ დამყარებული და ადამიანებს უსამართლოდ ექცეოდნენ.

# ანასტასია ზაუტაშვილი: „ალეკო ელისაშვილმა თავად მითხრა, რომ შეწყალების კომისიაში განცხადება შემეტანა“

## ზაუტაშვილის ადვოკატი: „ზვიად ქორიძე პასუხისგებაში უნდა მიეცეს“



**გუშინ, 15 დეკემბერს, კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულ ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატი მირიან ნიკოლაძე მთავარ პროკურატურაში დაკითხეს.**

როგორც დაკითხვის შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, მან გამოძიებას მიაწოდა ყველა მტკიცებულება, რომლებითაც ელისაშვილისა და ქორიძის მიერ გაკეთებული განცხადებები ბათილდება.

ადვოკატი აცხადებს, რომ ზვიად ქორიძემ გამოძიებას მისცა ცრუ ჩვენება, რისთვისაც იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

ადვოკატმა ასევე ისაუბრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფების დაკითხვასთან დაკავშირებით.

მირიან ნიკოლაძის განცხადებით, ანასტასია ზაუტაშვილს შეკითხვები დაუსვეს მანანა კობახიძესთან და ეკა ბესელიასთან დაკავშირებით და მან ჩვენება მისცა სხვა პატიმრებისა და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანდასწრებით.

ადვოკატის მტკიცებით, ანასტასია ზაუტაშვილი კატეგორიულად უარყოფს ზვიად ქორიძის განცხადებას, თითქოს ქორიძეს მსჯავრდებულმა უთხრა, რომ ეკა ბესელიას შეწყალების დაპირების სანაცვლოდ თანხა გადაეცა.

ამასთან, ადვოკატის მტკიცებით, თუკი პროკურატურა პასუხისგებაში არ მისცემს ალეკო ელისაშვილსა და ზვიად ქორიძეს, კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულები უკიდურესი ზომებით, მათ შორის, თვითდაზიანებებით იმუქრებიან.

ადვოკატის განცხადებით, მსჯავრდებულები მოითხოვენ, რომ პირველ იანვრამდე დადგეს შედეგი და დაისაჯონ დამნაშავეები.

* * *

გუშინ ანასტასია ზაუტაშვილმა გამოძიებასთან დაკავშირებით პირველი საჯარო განცხადება გააკეთა.

ადვოკატის მეშვეობით ზაუტაშვილი ჟურნალისტებს ტელეფონით ესაუბრა და აღნიშნა, რომ მას არანაირი თანხა არავისთვის მიუცია.

— ზღაპარია ის ინფორმაცია, რომელიც ალეკო ელისაშვილმა და ქორიძემ გამოძიებას მიაწოდეს, — განაცხადა ზაუტაშვილმა.

მან თქვა, რომ არასოდეს უთხოვია შეწყალება და ყოველთვის ითხოვდა გამართლებას.

— პროკურატურა ჩემს საქმეს გადახედავს და თვითონ გამამართლებს. როდესაც ალეკო ელისაშვილი გახდა შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, იგი შემოსული იყო ციხეში. ამას ესწრებოდნენ სხვა მსჯავრდებულებიც. მან თქვა,





რომ ჩემს საქმეს იცნობს და მითხრა, რომ ადვოკატებს მიეტანათ კომისიაში განცხადება, რომ უდანაშაულო ვარ, რის შემდეგაც პრეზიდენტს თვითონ შეუტანდა ჩემს საქმეს. სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე შეწყალების შესახებ განცხადება დამეწერა და ამის შემდეგ მოვიკითხე მანანა კობახიძესთან ჩემი საქმე. მანამდე შეწყალება არ მითხოვია. ვითხოვდი გამართლებას, — განაცხადა ზაუტაშვილმა.

მისი თქმით, იგი უკანონო პატიმარია და მხოლოდ იმიტომ ზის ციხეში, რომ, იძულების მიუხედავად, წარდგენილი ბრალდება არ აღიარა.

— ზღაპარია ფულის გადახდასთან დაკავშირებით განცხადებები. კანფეტიც არავისთვის მიმიცია, — განაცხადა ანასტასია ზაუტაშვილმა.

მან ეკა ბესელიაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან ბესელია მათ საქმეზე უმოქმედო იყო.

* * *

— ალეკო ელისაშვილის მიერ პროკურატურაში მოტანილ მობილურ ტელეფონში არ აღმოჩნდა იმ მაღალჩინოსნების მესიჯები, რომლებსაც ის ასახელებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პროკურორმა კოკა კაციტაძემ გუშინ, 15 დეკემბერს, განუცხადა.

მისი თქმით, მობილურ ტელეფონს ელისაშვილის სურვილის შესაბამისად ექსპერტიზა უტარდება, რომელიც ტექნოლოგიების საშუალებით დაადგენს, რა შინაარსის ინფორმაცია არსებობდა ტელეფონში.

### კოკა კაციტაძე: „ელისაშვილის მობილურში ჩინოსნების მესიჯები არ აღმოჩნდა“

კაციტაძის განმარტებით, ტელეფონში სმსები მართლაც იყო, თუმცა ისინი შემხებლობაში არ არის მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.

— მოწმის სახით დამატებით დაიკითხა ალექსანდრე ელისაშვილი, რომელმაც გამოძიებას წარმოუდგინა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი. ელისაშვილის განმარტებით, სწორედ ამ მობილურ ტელეფონში ჰქონდა მას შენახული ცალკეული მაღალჩინოსნების მიერ მისთვის გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, — განაცხადა კოკა კაციტაძემ.

მისი თქმით, მობილური ტელეფონი დათვალიერებულ იქნა ალექსანდრე ელისაშვილის თანდასწრებით. მასში არ აღმოჩნდა მაღალჩინოსნების მიერ გამოგზავნილი ელისაშვილის მიერ დასახელებული სმს-ები.

— დათვალიერების შემდეგ ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა თანხმობა ექსპერტიზის ჩატარებაზე. მისი თანდასწრებითვე დაილუქა



წარმოდგენილი მობილური ტელეფონი და მონაცემების აღდგენის მიზნით კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისთვის გადაიგზავნა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, — განაცხადა კოკა კაციტაძემ.

მისი თქმით, შეწყალების საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამ დროისთვის 30-მდე მოწმეა დაკითხული.

* * *

— შეწყალების საქმეზე ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი დაიკითხება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნათია სუხიაშვილმა განუცხადა.

— გამოძიების ფარგლებში დაიკითხება ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი, რომელთანაც ალეკო ელისაშვილს შეხვედრა იმავე დღეს ჰქონდა, როდესაც მთავარ პროკურატურაში, მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძეს შეხვდა, — განაცხადა სუხიაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ბადაშვილისა და ელისაშვილის შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მასზე შეწყალებაზე საუბარი არ ყოფილა.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაიკითხოს, სუხიაშვილმა კონკრეტული პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა:

— თუკი გამოძიება საჭიროდ ჩათვლის, დაიკითხებიან პირები, რომლებიც ამ საქმესთან შემხებლობაში არიან.

# უკრაინის შს მინისტრმა ავაქოვმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

არაა დაინტერესებული, რა შუაშია აქ სააკაშვილის საუბრები ურალხიმთან? ქარხანა ღიად უნდა გაიყიდოს დასავლურ სახელოვან კომპანიაზე და არა ოფშორზე რუს ოლიგარქზე, რომელთანაც ლაპარაკობენ ჩინოვნიკები, რომლებიც ხმამაღალ ფრაზებს არიან ამოფარებულნი, — აღნიშნავს მინისტრი.

ის თავისი ქმედებით კმაყოფილია, მიხეილ სააკაშვილს კი ქუდზე ცეცხლწაკიდებულ ქურდად მიიჩნევს.

— უბრალოდ, საჭირო იყო სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა... მან კი აიწყვიტა... უწყინარმა კითხვამ ისტერიკა და შეურაცხყოფა გამოიწვია... ქურდს ქუდი აეწვა? — წერს ავაქოვი.

* * *

14 დეკემბერს გვიან ღამით მომხდარ ინციდენტზე მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა კომენტარი.

მისი თქმით, ავაქოვმა არა მხოლოდ უცენზურო ლექსიკა გამოიყენა მის მიმართ, არამედ ყველას თანდასწრებით პირდაპირ დაემუქრა.

— ეს არის ადამიანი, რომელიც რეალურად არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს ხელმძღვანელობს, — აღნიშნა ჩვენებურმა.

ინციდენტის მეორე დღეს ანუ გუშინ საღამოს უკრაინული მედიის ნაწილმა გაავრცელა ცნობა ავაქოვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მათი ცნობით,

რადაში დარეგისტრირდა პროექტი-გადაწყვეტილება №2846, რომელიც ავაქოვის გადაყენებას ითვალისწინებს.

* * *

უკრაინის მთავრობაში არსებული დაძაბულობა უკვე სერიოზულ სახეს იღებს. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრი ყველას სიმშვიდისა და ბრალდებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს.

უკრაინულ მედიასთან საუბარში კვიტაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა ერთი გუნდია და მის რიგებში ბზარის შეტანის უფლება არავის აქვს.

მინისტრისთვის კატეგორიულად მიუღებელია ის ბრალდებები, რომლებიც მთავრობის კორუმპირებულობასთან დაკავშირებით ისმის.

— ამ მთავრობაში ვინმე კორუმპირებული რომ ყოფილიყო, მე ამ გუნდის წევრი აღარ ვიქნებოდი, — აღნიშნა კვიტაშვილმა.

ამ განცხადებით ის სააკაშვილს დაუპირისპირდა, რომელიც პრემიერსა და მინისტრებს კორუმპირებულებს უწოდებს.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის დაპირისპირება რამდენიმე თვის წინ დაიწყო. მაშინ სააკაშვილმა კვიტაშვილს თანამდებობის დატოვება ურჩია. ნაპრეზიდენტალი მიიჩნევდა, რომ ჯანდაცვის მინისტრი სათანადოდ ვერ მუშაობდა. კვიტაშვილმა წასვლის თაობაზე კი დაწერა განცხადება, მაგრამ პეტრო პოროშენკომ ხელი არ მოუწერა.

* * *

მიხეილ სააკაშვილისთვის ავაქოვის მიერ შესხმული წყალი ერთადერთი პრობლემა არ აღმოჩნდა. გუშინ, 15 დეკემბერს, კიევის პოდოლსკის რაიონის სასამართლომ ოდესის გუბერნატორის წინააღმდეგ დნეპრისპირეთის ოლქის ყოფილი გუბერნატორის იგორ კოლომოისკის სარჩელი დააკმაყოფილა.

— სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააკაშვილის მიერ ტელეარხ „1+1“-ის ეთერში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ოდესის გუბერნატორის ეს განცხადება ათი დღის ვადაში უნდა იყოს უარყოფილი, — იუწყება უკრაინული სააგენტო უნიანი.

ცნობისათვის, 2015 წლის ივლისში ტელეარხ „1+1“-ის ეთერში სააკაშვილმა კოლომოისკი ოდესის პორტში კონტრაბანდულ საქმიანობაში დაადანაშაულა. მან შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის პირობაც დადო.

* * *

სააკაშვილი ერთადერთი ნაციონალი არ არის, რომელსაც უკრაინაში პრობლემები შეექმნა. ცნობილი ხდება, რომ 2 კვირის წინ ბორისპოლის აეროპორტში შს მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე დააკავეს.

ამ ინფორმაციას უკრაინის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ვიტალი ზახარჩენკო ავრცელებს.

მისი თქმით, შემთხვევა დეკემბრის დასაწყისში ბორისპოლის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მოხდა. ზღულაძე ფულით სავსე ჩემოდნით ხელში დააკავეს, სადაც 4 მილიონი აშშ დოლარი იყო.

მინისტრის ყოფილი მოადგილის ცნობით, ზღულაძე საფრანგეთში თავის ქმართან მიემგზავრებოდა, რადგან ფეხმძიმედაა და 2 თვეში უნდა იმშობიაროს. ზღულაძემ განაცხადა, რომ ეს მისი პირადი თანხა იყო და ექიმებისთვის სჭირდებოდა.

4-საათიანი პატიმრობის შემდეგ, მინისტრ ავაქოვის ჩარევის შედეგად, სამართალდამცავებმა ზღულაძე გაუშვეს.

ზახარჩენკოს ცნობითვე, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ ვასილი გრიცაკს მოახსენეს, რომ 10 (სხვა მონაცემებით – 14) მილიონი დოლარი ეკა ზღულაძესა და არსენ



### კიევის აეროპორტში ეკა ზღულაძე 4 მილიონი დოლარით დააკავეს

ავაქოვს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის გადასცეს, მაგრამ, მისი თქმით, შსს-ს ხელმძღვანელობამ, დანიშნულებისამებრ გამოყენების ნაცვლად, ეს თანხა მიითვისა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პაატა კიკნაველიძე: „საპოლიციო გამოსახლება სწორად გავაუქმეთ“

## „მასთან დაკავშირებულ სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს“



**ინტერვიუ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა კიკნაველიძესთან**

***– ბიზნესსექტორი საუბრობს იმ შესაძლო პრობლემებზე, რასაც მათ საპოლიციო გამოსახლების გაუქმება შეუქმნის. მათი შეფასებით, მესაკუთრეებს გაურთულდებათ საკუთრების დაცვა. რას უპასუხებთ მათ არგუმენტებს?***

– ეს არგუმენტი დაუსაბუთებელია. საპოლიციო გამოსახლება სულაც არ გახლავთ სწრაფი და ეფექტური საშუალება საკუთრების უფლების დაცვისთვის. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ევროპის სახელმწიფოები, აშშ და ასე შემდეგ საკუთრების დაცვის ამ მექანიზმს შემოიღებდნენ. არსად დედამიწის ზურგზე პოლიცია არ წყვეტს მფლობელობით და ნებისმიერ კერძო სამართლებრივ დავას, არცერთი ეს განცხადება არ ემყარება სტატისტიკას, რომელიც არსებობს საპოლიციო გამოსახლებასთან დაკავშირებით, მეტიც – ეს სტატისტიკა არ არსებობდა და ჩემი თხოვნით დაამუშავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

პაატა კიკნაველიძეს მოჰყავს ეს სტატისტიკა: 2014 წელს შესული გამოსახლების განცხადებებიდან აღსრულდა მხოლოდ 31%, 2015 წლის 9 თვეში მოთხოვნათა მხოლოდ 28% შესრულდა.

– ჩემთან, როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, შემოდის ათეულობით განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ საპოლიციო გამოსახლებაზე შეტანილი განცხადებები აღუსრულებელია 3, 4, 5 წლის განმავლობაში. ამიტომ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საპოლიციო გამოსახლება წარმოადგენს საკუთრების დაცვის ეფექტურ მექანიზმს, ტყუილია, – აცხადებს დეპუტატი.

მას აღსრულების ბიუროს სტატისტიკაც მოჰყავს: 2014 წლის აღსრულების მაჩვენებელი არის 79%, 2015 წლის 9 თვეში – 82%.

– ანუ ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უწყება, რომელიც არის აღსრულებაზე პასუხისმგებელი და რომლის ერთადერთ ფუნქციას წარმოადგენს ეს, უფრო სწრაფად და ეფექტურად ართმევს თავს ამ ამოცანის შესრულებას, ვიდრე პოლიცია, რომლის მთავარი ფუნქცია არაა გამოსახლება, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის პრევენცია, აღკვეთა, – აცხადებს პაატა კიკნაველიძე.

***– მაშინ, რისი ეშინია ბიზნესს, თუ პრაქტიკა სხვას გვიჩვენებს?***

– გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა, მაგრამ, ბიზნესასოციაციებისგან განსხვავებით, მე კონკრეტული ბიზნესის წარმომადგენლებთან, კომერციული ბანკების მენეჯერებთან მქონდა კონსულტაციები და ისინი პრობლემებს არ ხედავენ. დარგობრივი ნიშნით შექმნილ ასოციაციებს კი აქვთ მოთხოვნილება, რომ ვისგანაც ფინანსდებიან, მოაჩვენონ თავი, როგორ კარგად იცავენ მათ უფლებებს.

***– ცვლილების მიღებისას უმრავლესობა ხელმძღვანელობდა სოციალური საკითხით თუ საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა იყო მთავარი?***

– ეს კანონპროექტი თავის დროზე 2013 წელს დავარეგისტრირე, ამიტომ პროცესი არ დაწყებულა გუშინ და გუშინწინ. შემდეგ ეს კანონპროექტი ჩემ მიერ გამოთხოვილი იქნა და საბოლოოდ ინიცირებულ იქნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ და თითქმის ერთი წელია განიხილება.

ამას პირდაპირი კავშირი სოციალურ საკითხებთან არ აქვს. აქ მთავარია სამართლებრივი საკითხი. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის განაწესი, რომლის მიხედვით, არავის აქვს უფლება, შევიდეს ბინაში ან სხვა მფლობელობაში, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ თუ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

საპოლიციო გამოსახლება, როგორც ინსტიტუტი, წარმოადგენდა არაკონსტიტუციურ ინსტიტუტს. ამიტომ მაკვირვებს განცხადება, „მივმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს“. გარწმუნებთ არავინ არ მიმართავს, რადგან მათ მოუწევთ კვალიფიციურ იურისტთან კონსულტაციის გავლა თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს სარჩელი. თუკი ასეთი სარჩელი იქნა შეტანილი, ან არსებით განხილვამდე ვერ მივა, ან საკონსტიტუციო სასამართლო მას არ დააკმაყოფილებს.

***– ვადებზე ბიზნესი ამბობს, რომ ისინი შეუსრულებელია, რადგან სასამართლოში დღესაც არის რიგები. სასამართლო სისტემა რამდენად მზადაა ამ ახალი საქმეების ოპერატიული განხილვისთვის?***

– ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია სასამართლო ხელისუფლებასთან გავიარეთ.

ინიციატივა, რომ ამ კატეგორიის დავებისთვის დაგვედგინა შემჭიდროებული ერთთვიანი ვადა, მოდიოდა სასამართლო ხელისუფლებისგან და მათი მზაობისგან, რომ მაქსიმალურად დაიცვან ეს ვადები.

შესაძლოა, საქმის სირთულის ან სხვა სპეციფიკური გარემოების გამო ზუსტად ერთ თვეში არ იქნას მიღებული გადაწყვეტილება და საჭირო იყოს ერთი თვის და 10-15 დღის განმავლობაში. თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება, როდესაც 4-5 წლის წინ დაწყებული საპოლიციო გამოსახლებები არის აღუსრულებელი და სასამართლოს ამის მეათედი დროც არ დასჭირდება ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც კი.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# 9 წელზე ხნიერ მანქანებზე აქციზი ძალიან იზრდება

3-დან 6 წლამდე ავტომობილები შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციზის გადასახადი 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის. გარდა ამისა, შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრა.

ამას მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებს მთავრობა ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისებისა და ქვეყნის ავტოპარკის გადახალისების გზად განიხილავს.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდენობამ მილიონს გადააჭარბა, რაც საკმაოდ სოლიდური ციფრია. ამასთან, შსს-ს განმარტებით, საქართველოს ავტოპარკის ძირითად ნაწილს მეორადი – 5-დან 15 წლამდე ასაკის ავტომობილები წარმოადგენს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

პროექტის ავტორის, შსს-ს შეფასებით, მოქმედი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საკანონმდებლო გარემო ვერ უზრუნველყოფს, ვერ ხერხდება ავტოპარკის განახლების მძლავრი სტიმულირება და უფრო უკეთესი პარამეტრების მქონე ახალი ავტომობილების საქართველოში შემოყვანა. საბოლოო ჯამში კი, აღნიშნული ვითარება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

შედეგად, საგზაო მოძრაობაში კვლავაც დიდი რაოდენობით არის ჩართული მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ავტომანქანები, რაც ხშირად ავტოსაგზაო შემთხვევათა გამომწვევი მიზეზი ხდება.

– მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთები 2004 წელს დადგინდა, როდესაც სატრანსპორტო სფეროში დღევანდელისგან კარდინალურად განსხვავებული სურათი იყო. გარდა ამისა, არსებული განაკვეთები იმ პერიოდში ბევრად უფრო მეტი ფისკალური ეფექტის მქონე იყო, ვიდრე დღეს. შესაბამისად, მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრის რეჟიმი დღეს ბევრად ლიბერალურია, ვიდრე არსებული განაკვეთის შემოღების მომენტში, – ნათქვამია განმარტებით ბარათში.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხდეს მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთების ცვლილება, არსებული რეალობის გათვალისწინებით.

– აქციზის განაკვეთების წარმოდგენილი ოდენობა მიზნად ისახავს შედარებით ნაკლები წლოვანების ავტომობილების იმპორტის ხელშეწყობასა და ძველი ავტომობილების იმპორტისათვის გარკვეული ბარიერის შექმნას მაღალი გადასახადის სახით, – ნათქვამია განმარტებით ბარათში, რომელიც შსს-ს ინიციატივას ერთვის.

გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით) და ძრავიანი ველოსიპედების იმპორტისა და მიწოდების გათავისუფლებას დამატებული ღირებულების გადასახადისგან და მათი იმპორტის დაბეგვრას აქციზით, მათი წლოვანებისა და ძრავის მოცულობის მიხედვით.

– აღნიშნული ცვლილების მიზანია შედარებით ეკოლოგიური სატრანსპორტო საშუალებების ლიბერალური დაბეგვრის რეჟიმის შემოღება, – აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

# ნავთობის გაიაფებას რუბლის კურსის რეკორდული გაუფასურება მოჰყვა



რუსული ვალუტა დოლართან კიდევ 60,5 კაპიკით გაუფასურდა, რის შედეგადაც რეკორდულ მაჩვენებელს, 70,83 პუნქტს მიაღწია.

რუსული გამოცემა „ერ ბე კა“ წერს, რომ რუსეთში დოლარი ასე ძვირი რუბლის დენომინაციის შემდეგ არ ყოფილა, რომელიც 1998 წელს მოხდა. დღემდე რეკორდულ კურსად ითვლებოდა 70,7465 რუბლი, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა მიმდინარე წლის 25 აგვისტოს დაადგინა.

ევროს ოფიციალური კურსი კი გუშინ 1,26 რუბლით გაიზარდა და პირველად, ბოლო 10 თვის განმავლობაში, 78 რუბლს გადააჭარბა. 16 დეკემბერს ცენტრალურმა ბანკმა რუბლის კურსი ევროს მიმართ 78,2312 პუნქტით განსაზღვრა.

14 დეკემბერს, ნავთობის მსოფლიო ფასების 37 დოლარზე მეტად გაიაფების შემდეგ, მოსკოვის ბირჟაზე დოლარის კურსმა 71 რუბლს გადააჭარბა და 71,225 პუნქტზე დაფიქსირდა. ევროს კურსმა კი 73,6 რუბლს მიაღწია.

სავალუტო კურსების რყევის კომენტარისას რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ეს პროცესები კრემლის შეშფოთებას იწვევს და ისინი პროცესებს ყურადღებით აკვირდებიან.

აღნიშნული განცხადება პესკოვმა გააკეთა შეკითხვაზე პასუხისას, რუბლის რომელ კურსს ჩათვლიან კრემლში კრიტიკულად.

# შალვა ოგბაიძე: „ქულათა სისტემა საშიშ მძღოლებს გაანეიტრალებს“

ლალი დავითური

**უკვე რამდენიმე დღეა საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში ახალი რეგულაციების შესახებ განცხადება. რატომ გახდა საჭირო ცვლილებების განხორციელება და რა ახალ რეგულაციებზეა საუბარი ცვლილებათა პაკეტში? „ახალი თაობა" ესაუბრა თბილისის საკრებულოს წევრს, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძეს.**

***– რატომ გახდა საჭირო საჯარიმო ქულების შემოღება?***

– საქართველოში არიან ისეთი კატეგორიის მძღოლები, რომელთათვისაც ფულადი დაჯარიმება არაფერს ნიშნავს. მათ თუნდაც 5-ჯერ დაარღვიონ მოძრაობის წესები, 50 და 100 ლარიან ჯარიმებს თავისუფლად იხდიან და რამდენჯერაც არ უნდა დაუწესო ჯარიმა, იმდენჯერ გადაიხდიან ამ თანხას.

ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ასეთი მძღოლების მიმართ სხვანაირად მოქმედებს კანონი. ყველა მძღოლს წლის დასაწყისში ეძლევა დარღვევების ქულათა გარკვეული რაოდენობა. გერმანიაში არის 18 ქულა, თბილისშიც დაწესდება ქულების გარკვეული ოდენობა. ყოველ მძიმე დარღვევაზე, რომელიც ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისათვის საშიში იქნება, მძღოლს ჯარიმის თანხის გადახდასთან ერთად მოაკლდება ქულებიც. დარღვევების გარკვეული რაოდენობის შემდეგ კი, საერთოდ შეუჩერდება მართვის მოწმობა, რადგან ასეთი მძღოლი საზოგადოებისთვის სახიფათოდ ჩაითვლება.

***– რამდენი იქნება ქულათა რაოდენობა?***

– მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულების გამოკლებას გამოიწვევს. ხოლო საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დააკლდება, გამოქვეყნდება და ყველა მძღოლს ეცოდინება.

***– კიდევ რა სიახლეა?***

– განსხვავებული იქნება დაჯარიმება და ქულების დარიცხვა სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში.



თუ აქამდე სიჩქარის გადაჭარბების ყველა შემთხვევა 50 ლარით ჯარიმდებოდა, ახლა ეს დიფერენცირებული გახდება და 10 კმ/სთ სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში ჯარიმის თანხა იქნება სხვა, 20კმ/სთ სიჩქარზე სხვა და 50კმ/სთ სიჩქარესა და მეტზე ძალიან მაღალი.

***– ტროტუარებზე რას იტყვით, ბატონო შალვა, დაგვიბრუნდება ფეხით მოსიარულეებს?***

– რა უნდა გითხრათ, ტროტუარი არის ფრანგული სიტყვა და ნიშნავს ფეხით სიარულისთვის განკუთვნილ ადგილს, ამით ყველაფერია ნათქვამი. ტროტუარზე შეიძლება მანქანის შესვლა-გამოსვლა, მაგრამ ტროტუარის გადაქცევა სავალ ნაწილად, არის სუფთა თბილისური ფენომენი და ესეც დაჯარიმებადი უნდა იყოს, მაგრამ აქ გვაქვს მეორე პრობლემა.

***– რა პრობლემაა?***

– პარკირებაზე ჯარიმის უფლების გამოწერა წინა ხელისუფლების მიერ გადაცემული აქვს „სითი პარკს“. სამწუხაროდ, თბილისის მერიამ ვერ მოახერხა, რომ პარკირების საქმიანობა დაბრუნებოდა ჩვენს დედაქალაქს. „სითი პარკი“ გამეცადინებულია მოგებაზე, მას ნაკლებად აინტერესებს ჩვენი თანამოქალაქეების შეწუხება ტროტუარზე. მისთვის გაცილებით ადვილია გზისპირიდან წაიყვანოს მანქანა, ვიდრე ტროტუარიდან. ტროტუარის პრობლემა არის სააკაშვილის ხარკი, რომელსაც, სამწუხაროდ, ნარმანია კვლავ იხდის.

***– მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციაზე რას იტყვით?***

– აქ შემოთავაზებულია ავტომობილების შემოყვანა და განბაჟება, მაგრამ რეგისტრაცია არის აკრძალული, ხოლო მათთვის, ვისაც უკვე ჰყავს ასეთი ავტომანქანა, არავითარი აკრძალვა არ არის, უნდათ გაყიდონ, უნდათ გაასხვისონ და მშვიდობაში მოიხმარონ. ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს იმას, რომ შემდგომში შეიზღუდოს მანქანების ახალი ნაკადის შემოყვანა, რაც მე მაინცდამაინც არ მხიბლავს. მე მივემხრობოდი სხვა გადაწყვეტილებას.

***– როგორ გადაწყვეტილებას?***

– ვემხრობი იმას, რომ დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებმა შეიძინონ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები, რადგან დაბალი ფასით გამართული, ეკოლოგიურად სუფთა, მოწესრიგებული ავტომანქანის შეძენას შეძლებენ, მაგრამ მარჯვენასაჭიანი მანქანების მფლობელების მიმართ რამდენიმე მოთხოვნა უნდა დაწესდეს.

***– რა მოთხოვნები?***

– პირველი მოთხოვნა ისაა, რომ აიკრძალოს საჭის გადატანა, რადგან გადატანილი საჭის უსაფრთხოების გარანტიას არავინ იძლევა. მეორე, მოაწესრიგონ ფარები, რადგან მარჯვენასაჭიანი მანქანების ფარები აბრმავებს შემხვედრ ნაკადს და მესამე, მარჯვენასაჭიანი ორკარიანი მანქანის მძღოლებს ტაქსაობის უფლება არ უნდა მიეცეს, რადგან მარცხენა მხრიდან ჩასხდომა-გადმოსხდომა სხვებს უქმნის პრობლემას.

ამ ყველაფერში ყველაზე დადებითი არის ის, რომ ცვლილებათა კანონს მინისტრმა პირდაპირ კი არ მოაწერა ხელი, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ, ეს ცვლილებათა პაკეტი საზოგადოების სამსჯავროდ გამოიტანა და ყველას მსჯელობის საგნად აქცია. ყველა ერთად ვიმსჯელებთ და რაზეც შევთანხმდებით, იმას მივაწვდით სამინისტროს.

# საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დააკლდება მართვის მოწმობას

**ცნობილია სისტემა, რომლის მიხედვითაც, დამრღვევ მძღოლებს მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულები შეუმცირდებათ.**

**„საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს.**

**კალენდარული წლის განმავლობაში 100 ქულის ნულამდე შემცირების შემთხვევაში, მძღოლს მართვის უფლება შეუწყდება და მის მისაღებად გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიხედვით, ქულათა შემცირების სისტემა ასეთია:

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის – 30 ქულა;

იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა – 15 ქულა;

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 10 ქულა;

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა;

მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – 5 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, – 5 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, – 15 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული – 15 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, – 15 ქულა;



იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა, ხოლო მისი მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში – 20 ქულა; აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, – 10 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ახორციელებს ესკორტს ან რომელსაც მიაცილებენ, – 15 ქულა;

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 40 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა; მისი განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

„B“ კატეგორიის ან „A1“ ან „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა – 20 ლარი;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით, – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 40 ქულა;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება, – 35 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 40 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა;

- მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი, – 10 ქულა;

გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – 5 ქულა;

- მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული (“დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი (“შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა – 10 ქულა;

შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა;

შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – 30 ქულა;

ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, – 20 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა, – 20 ქულა;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა;

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ავტომობილებზე აქციზის გაზრდა ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია

9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის აქციზის გადასახადი მნიშვნელოვნად იზრდება, 3-დან 6 წლამდე ავტომობილებზე კი შეღავათიანი დაბეგვრა ამოქმედდება. ასევე, შეღავთიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრა. ამას მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდენობამ მილიონს გადააჭარბა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი უკვე საკანონმდებლო ორგანოშია განსახილველად.

„საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს მთავრობა ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისებისა და ქვეყნის ავტოპარკის გადახალისების გზად განიხილავს.

ავტომობილებზე აქციზის გაზრდას დადებითად აფასებენ ექსპერტები. მათი განმარტებით, ცვლილება აუცილებელია ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**ოთარ ანგურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე:**

– მომხრე ვარ ამ ცვლილების, ოღონდ, ეს არ უნდა იყოს ხისტად მიღებული გადაწყვეტილება. კანონის მიღებიდან ერთ თვეში რეგულაციები არ უნდა შევიდეს ძალაში.

გარკვეული სახის პერიოდი უნდა იყოს, რომ მოსახლეობასაც და ეკონომიკასაც ახალ რეგულაციებზე გადაწყობის შესაძლებლობა მიეცეს.



ხელისუფლება, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ვალდებულიც არის, გარკვეული სახის რეგულაციები დააწესოს.

ინიცირებული კანონპროექტის მიღება დადებითად იმოქმედებს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც. თუმცა, ცვლილება საგარეო სავაჭრო ბალანსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება ნეგატიურად აისახოს.

**ვახტანგ ჭარაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის წევრი:**

– საქართველოში მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე მოსახლეობას შეიძლება სჭირდებოდეს ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებები, თუმცა ქვეყანაში უნდა იყოს დაცული სტანდარტები, ეს ეხება ყველა სფეროს.

როდესაც ავტომანქანებზე გაიზრდება აქციზის განაკვეთი, მოსახლეობას უფრო ძვირადღირებული, მაგრამ უფრო ხარისხიანი ავტომანქანის შეძენა მოუწევს და საქართველო აღარ იქნება მეორადი მანქანების ქვეყანა. ახალი სატრანსპორტო საშუალებები ეკოლოგიურადაც უფრო სუფთაა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისითაც პოზიტიური იქნება.

**ქეთი კრიალაშვილი, ეკონომიკური განათლებისა და სტრატეგიული კვლევის ცენტრის თავმჯდომარე:**

– თანამედროვე ტენდენციები, გარემოს დაცვა, ეკოლოგიაზე ზრუნვა, ასოცირების ხელშეკრულება და ჩვენი მისწრაფებები ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით – ეს ყველაფერი სტანდარტების გაუმჯობესებას მოითხოვს. ეს ცვლილება აუცილებელია იმისათვის, რომ გავზარდოთ ცხოვრების დონე.

ავტომანქანებზე აქციზის გაზრდა მოსახლეობას შეუქმნის სტიმულს, რომ უფრო ახალი ავტომობილი შეიძინოს. არ უნდა შევაფერხოთ განვითარების პროცესები იმისათვის, რომ რაღაცისთვის შეიძლება არ ვიყოთ მზად.

**ირაკლი ზარქუა, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა და ანალიტიკოსთა დარბაზ „დოქტრინის“ ხელმძღვანელი:**

– ჩვენ უნდა ვისწავლოთ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული დიფერენციების შემოღება. ეს ცვლილება კარგია საქართველოში ავტოპარკის განახლებისთვის. გადაიტვირთა ქვეყანა და ის პოლიტიკა, რომელსაც სამინისტრო ატარებს, იგივე მარჯვენასაჭიანი მანქანების შეზღუდვა, აუცილებელია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგი საგულდაგულოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო



# საუდის არაბეთმა ანტიტერორისტული კოალიცია შექმნა

ელ-რიადში გამოცხადდა ახალი ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა. მასში გაერთიანდნენ: საუდის არაბეთი, იორდანია, გაერთიანებული არაბული საემიროები, თურქეთი, პაკისტანი, ეგვიპტე, ტუნისი, ნიგერია. ცალკეულ შეტყობინებებში მოხსენიებულია აგრეთვე პალესტინაც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ანტიტერორისტული კოალიციის წევრი. აღნიშნულ კოალიციაში არ შეიყვანეს ირანი.

შექმნილი ერთიანი მაკოორდინირებელი ცენტრი ელ-რიადში იფუნქციონირებს.

კოალიციაში შემავალმა სახელმწიფოებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, სადაც ხაზგასმულია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მუსლიმანური ქვეყნები გაერთიანდნენ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ტერორიზმი თავად ისლამის საფუძვლებს ეწინააღმდეგება.

– ისლამი სიკეთეს, კაცმოყვარეობასა და ჰუმანიზმს ქადაგებს. ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან მას საერთო არაფერი გააჩნია, – ნათქვამია განცხადებაში.

# სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბურბუშელას მწარმოებელ კომპანიას საწარმოო პროცესი შეუჩერა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა ბურბუშელას მწარმოებელ შპს „დავლათში“ არაგეგმური ინსპექტირება განახორციელეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სააგენტოდან აცნობეს, სურსათში დადასტურდა ფიზიკური საფრთხის შემცველი პიროტექნიკის არსებობა, გამოვლინდა ასევე სხვა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც შპს „დავლათს“ შეუჩერდა საწარმოო პროცესი, ბიზნესოპერატორი კი 1.000 ლარით დაჯარიმდა. მას დაევალა პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვა, რასაც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო გაუწევს.

– სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და მიმართავს ბიზნესოპერატორებს, არ განათავსონ სურსათთან ერთად ასაფეთქებელი, მომწამვლელი და სხვა სახის ნივთიერებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც მწარმოებელს, ასევე რეალიზატორს.

სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, მსგავსი ფაქტების აღმოჩენისას დაუყოვნებლივ დარეკონ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 291 91 68, – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გუშინ მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ შეძენილ იქნა ბურბუშელა „მინსტერი“ საჩუქრით, რომელშიც საახალწლო საჩუქრის სახით პიროტექნიკა იყო მოთავსებული და რომელიც მცირეწლოვანმა ბურბუშელასთან ერთად გადაყლაპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში განუცხადეს, პიროტექნიკა ბურბუშელაში საჩუქრის სახით იყო მოთავსებული და ის რომ ბავშვს დაეღეჭა, პირში აუცილებლად აფეთქდებოდა, თუმცა ბავშვმა პიროტექნიკა დაღეჭვის გარეშე გადაყლაპა.

როგორც იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში განაცხადეს, ბავშვს შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა და ამჟამად სახლშია გაწერილი.

– ბავშვი უკვე კარგად არის, საბედნიეროდ, გადარჩა. პიროტექნიკის სასაჩუქრე ინსტრუქციაში ეწერა, რომ არ შეიძლებოდა მისი ჯიბეში ჩადება. როცა ექიმი ოთახში შემოვიდა და ბურბუშელა მაგიდაზე დაახეთქა, შიგნით აფეთქდა. როგორც ჩანს, შეხებაზე ფეთქდებოდა. ეს პიროტექნიკა შეფუთული იყო ყვავილებით და ბურბუშელაში იდო სიურპრიზის სახით, – განაცხადეს იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში.

**ინტერპრესნიუსი**



# თურქეთმა ერაყიდან თავისი ჯარის ნაწილი გაიყვანა

თურქეთმა ქალაქ მოსულიდან თავისი ჯარის ნაწილი გაიყვანა. პრეზიდენტმა ერდოღანმა ეს ჯარის გადაჯგუფებით ახსნა.

– მიმდინარეობს ჩვენი შეიარაღებული ძალების ჩვეულებრივი გეგმიური გადაჯგუფება, – თქვა თურქეთის ლიდერმა.

თურქული არმია მოსულში ამ ქალაქის მერის თხოვნით შევიდა. თურქი სამხედროები ეხმარებიან ადგილობრივ ძალებს ქალაქის დაცვასა და ტერორისტებთან ბრძოლაში.

ერაყის მთავრობა თურქების საქციელით აღშფოთებულია.

– მოვითხოვთ, რომ თურქეთის ჯარმა ერაყის ტერიტორია დაუყოვნებლივ დატოვოს! – ნათქვამია ერაყის მთავრობის განცხადებაში.

# საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დააკლდება მართვის მოწმობას

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა; საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა – 10 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა – 25 ქულა;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა;

საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპის შეთანხმების (AETR) წესების დარღვევით განხორციელება – 15 ქულა;

გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას – 15 ქულა;

ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონსა და მასთან ერთად, ოთხ კანონში შედის.

**ინტერპრესნიუსი**

# სროლა მოსკოვის ცენტრში



მოსკოვის ცენტრში მდებარე კაფე ელემენტში მამაკაცების ორ ჯგუფს შორის შეტაკება მოხდა. ორი ადამიანი ადგილზევე გარდაიცვალა. ჰოსპიტალიზებულია ცხრა მოქალაქე.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ლატვია რუსეთთან საზღვრის დაცვას აძლიერებს




ლატვია რუსეთთან საზღვრის დაცვას აძლიერებს. დაგეგმილია ღობის მშენებლობა, რომელიც რუსეთსა და ლატვიას ერთმანეთისგან გაყოფს.

– დღეს ასეთი ღობის მშენებლობა, როგორც არასოდეს, ისე აქტუალურია, – განუცხადა ბიბისი-ს კორესპონდენტს ლატვიის სასაზღვრო დაცვის წარმომადგენელმა ევგენია პოზნიაკმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



ჩვენს საყვარელ

**ნინო მაღალაშვილს**

ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას,
დიდ სიხარულს თავის საყვარელ ოჯახთან
ერთად, წარმატებას ყველა კეთილ საქმეში.
უთალი გთარავდეს.

**სიყვარულით „ახალი თაობა“**

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

**მოб. ტელ: 599-73-48-21**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

**ლამარა თოდუა:**

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმიპროფესიონალივმკურნალობკარგიშედეგითსექსუალურუძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# დღეს საქართველოს თასის ნახევარფინალისტები გაირკვევა



დღეს საქართველოს თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება. შეიძლება ითქვას, წინ დიდი ბრძოლებია და გადაწყვეტილი არაფერია.

**დინამო (თბ) – ტორპედო (პირველი მატჩი 1:0)**
**თბილისი. დინამო არენა**

ეს ერთადერთი მატჩია, სადაც გამოკვეთილი ფავორიტი ჩანს. დინამომ სტუმრად გიორგი ქვილითაიას გოლით მოიგო და დიდი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ.

სხვა დროს, ალბათ, ამის ასე გადაჭრის თქმა გაგვიჭირდებოდა, მაგრამ რიონისპირელებს ამ დეფიციტის აღმოფხვრა გაუჭირდებათ, რადგან გია გეგუჩაძის გუნდი ჩვენი პირველობისთვის ძალიან კარგ ფორმაშია, რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისელებზე.

**სიონი – სამტრედია (პირველი მატჩი 0:0)**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

თუ პირველი მატჩის შედეგით ვიმსჯელებთ, ფავორიტი მასპინძლები არიან. თუმცა, სამტრედიამ დაამტკიცა, რომ მასპინძლებს მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვთ – საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში იმერლებმა ბოლნისში 2:0 მოიგეს და იგივეს გამეორებას ახლა უკვე თასზე ეცდებიან.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ტატანაშვილი დააკლდებათ.

**შუქურა – ჩიხურა (პირველი მატჩი 0:2)**
**ქობულეთი. ჩელე არენა**

რთული ამოცანის წინაშე დგანან მასპინძლები, რომლებსაც ორბურთიანი ჩამორჩენა აქვთ გასაბათილებელი. რთულია, მაგრამ არა – შეუძლებელი.

საჩხერელებმა, რომლებიც თასზე ყოველთვის ყოჩაღად გამოიყურებიან და დასვნით ეტაპამდეც ხშირად აღწევენ, შინ სარდალიშვილისა და ჭეჭელაშვილის გოლებით იმარჯვეს და მის შენარჩუნებას შეეცდებიან.

**ვიტ ჯორჯია – ზუგდიდი (პირველი მატჩი 0:1)**
**მცხეთა. მცხეთა პარკი**

ალბათ, ყველაზე სუსტი წყვილი მეოთხედფინალში. ზუგდიდი ჩემპიონატის აუტსაიდერია და დაქვეითების რეალური კანდიდატი, ხოლო ვიტ ჯორჯია სულაც პირველ ლიგაში თამაშობს და დიდად არც დაწინაურების პერსპექტივა ჩანს ჰორიზონტზე.

ამ გუნდებიდან გასულს ნახევარფინალში ნებისმიერი ინატრებს. მანამდე კი გასარკვევია, ვინ გავა.

ზუგდიდმა პირველი მატჩი მინიმალური ანგარიშით მოიგო. ერთადერთი გოლი ლაშხიას ანგარიშზეა. უპირატესობა სოლიდური არ არის, მაგრამ ვეტერინარებს გასაბათილებელი აქვთ. რა მოხდება, ეს დღეს გამოჩნდება.

# გია ნიჟარაძემ და ირაკლი აბუსერიძემ კანდიდატურები მოხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამ 8 წლის განმავლობაში რაგბის კავშირი რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო ფედერაციად, რაც მისი ხელმძღვანელის დამსახურებაა. პლუს, ბოლო დროს ქართული რაგბის წარმატება თვალსაჩინოა, რაც ბოლო მსოფლიო თასმა დაადასტურა. ბორჯღალოსნებმა ყოველგვარი შესარჩევი ეტაპის გარეშე მოიპოვეს მომავალ მსოფლიო თასზე თამაშის უფლება და ბრიტანეთის სტადიონებზე ისტორიული გამარჯვებაც მოიპოვეს ტონგას ნაკრებთან.

გარდა ამისა, აშენდა რამდენიმე სტადიონი და რაგბი უფრო პოპულარული გახდა. მართალია, ეს ყველაფერი ბანკი ქართუს მიერ იყო დაფინანსებული, მაგრამ სხვა სამუშაოები მაღალ დონეზე ჩატარდა.

ამ ყველაფრის ფონზე, ნიჟარაძეს საყვედური ნამდვილად არ ეთქმის.

და მაინც, ნიჟარაძის წასვლა გარდაუვალი ჩანდა. არა იმიტომ, რომ ახლა ახალი სისხლია საჭირო, არამედ, სხვა დინებების გამო. ეს ყველაფერი ნიჟარაძეს სატელევიზიო გამოსვლებისას სახეზე ეწერა, ხოლო რაგბის კავშირის ვებგვერდზე გაკეთებულ განცხადებაში აშკარად იყო მინიშნება არჩევნებში ჩარევაზე.

– უკვე შეიმჩნევა ზოგიერთი „თანამდებობრივად გავლენიანი გულშემატკივრისა“ და სხვა გარეშე პირების მხრიდან მისთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ საკუთარი გავლენის გამოყენების მცდელობა, რაც სცილდება წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებს და ქმნის სახიფათო პრეცედენტს პატიოსანი თამაშის წესების საწინააღმდეგოდ, – ეწერა კავშირის ვებგვერდზე.

საპასუხოდ, სოციალური ქსელის მეშვეობით განცხადება გაავრცელა ირაკლი აბუსერიძემაც, სადაც რაგბის კავშირის გამგეობის ზემოთ ხსენებულ განცხადებასაც გამოეხმაურა.



ირაკლი აბუსერიძე

– დღეს ქართული რაგბი წარმატებასთან ასოცირდება. ბედნიერი ვარ, რომ 16 წლის ასაკში არჩევანი სწორედ სპორტის ამ ვაჟკაცურ და ღირსეულ სახეობაზე გავაკეთე. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები საქართველოში ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი გახდა. ამაყი ვარ, რომ სწორედ ამ გუნდის კაპიტანი ვიყავი 7 წელი, რაც ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო.

ვთვლი, რომ ჩემი და ჩემი გუნდის გამოცდილება ქართული რაგბის მომავალს უნდა მოვახმაროთ. 20 დეკემბერს ქართული სარაგბო ოჯახი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ ვინ უხელმძღვანელებს რაგბის კავშირს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

ვემიჯნები საარჩევნო პროცესში ყველანაირ ჩარევას და ეს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომაზეც დავაფიქსირე. გამგეობის წევრებმა, მათ შორის მე, ოფიციალურ წერილზე ხელმოწერით დავადასტურეთ, რომ არჩევნები ჯანსაღ გარემოში უნდა ჩატარდეს. მაქვს იმედი, რომ საარჩევნო პროცესი, რაგბის თამაშის მთავარი პრინციპების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად ჩაივლის.

• • •

შეგახსენებთ, რომ არჩევნები 20 დეკემბერს უნდა გამართულიყო. მონაწილეობა რაგბის კავშირის 37 სუბიექტს უნდა მიეღო, ხმის მიმცემი კი 68 დელეგატი იქნებოდა.

37 სუბიექტიდან ნიჟარაძე 20-მა მათგანმა წარადგინა, აბუსერიძე კი – 7-მა, 10-მა თავი შეიკავა.

გუშინ, 15 დეკემბერს, საღამოს კი ცნობილი გახდა, რომ 20 დეკემბერს ყრილობა არ ჩატარდება.

ამის მიზეზი ირაკლი აბუსერიძისა და გია ნიჟარაძის მიერ კანდიდატურების მოხსნა გახდა.

– მივიღე გადაწყვეტილება, მოვხსნა ჩემი კანდიდატურა საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებიდან. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ინფორმაციასა და დეტალებს მოგვიანებით მოგახსენებთ, – განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

– გაცნობებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის 2015 წლის 20 დეკემბერს საერთო ყრილობაზე გასამართ სრკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვხსნი ჩემს კანდიდატურას, – ეს უკვე გია ნიჟარაძის განცხადებაა.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობა გამოაქვეყნებს ახალი ყრილობის ჩატარების ვადას, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება.

# გიორგი ქიაბრიშვილი: „სტაბილურობა გვაკლია“

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგის 2015-16 წლების სეზონის პირველი წრე უკვე ისტორიის კუთვნილებაა. 4 გუნდი დღეს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე ითამაშებს და შემდეგ გუნდები საზამთრო არდადეგებზე გავლენ. სავარაუდოდ, ახალი წლიდან მეორე წრისთვის მზადებას დაიწყებენ.

მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა საფეხბურთო კლუბი საბურთალოა. თბილისური კლუბი უმაღლეს ლიგაში დებიუტანტია. პლუს ყველაზე ახალგაზრდული. გუნდის ძირითად ბირთვს 18 წლის ფეხბურთელები შეადგენენ.

საბურთალომ პირველი წრე 20 ქულით მეცხრე ადგილზე დაასრულა. 15 თამაშიდან 6 მოგება, 2 ფრე და 7 წაგება – ასეთია დედაქალაქელების შედეგი.



საბურთალოს პირველ წრეს აფასებს მთავარი მწვრთნელი გიორგი ქიაბრიშვილი, რომელმაც ასევე მოსამზადებელ ეტაპსა და გუნდიდან წასული ფეხბურთელებზე ისაუბრა.

**გიორგი ქიაბრიშვილი:**

– შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდი გაიზარდა, რაც ფეხბურთელთა პროგრესზე მიუთითებს, თუმცა არასტაბილურად ვთამაშობთ. შესაძლოა რომელიმე ფეხბურთელმა ერთი კონკრეტული მატჩი მაღალ დონეზე ჩაატაროს, შემდეგ შეხვედრაში კი ჩრდილში მოექცეს. მთავარია ეს პრობლემა დავძლიოთ, რასაც გარკვეული დრო სჭირდება.

იანვრის დასაწყისში თბილისში შევიკრიბებით და მზადების პირველ ეტაპს დედაქალაქში გავივლით შემდეგ კი თურქეთში გავემგზავრებით და იქ განვაგრძობთ მზადებას. შეკრებაზე 4-5 საკონტროლო მატჩის გამართვა იგეგმება.

# შედეგები

**14 დეკემბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ჩელსი ............................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 15 | 10 | 5 | 1 | 34-22 | 35 |
| 2.არსენალი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-13 | 33 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 4.მანჩესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-12 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 16 | 6 | 8 | 2 | 26-14 | 26 |
| 6.კრ.პალასი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-15 | 26 |
| 7.უოტფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-16 | 25 |
| 8.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 25-21 | 24 |
| 9.ლივერპული | 16 | 6 | 6 | 4 | 20-19 | 24 |
| 10.ევერტონი | 16 | 5 | 8 | 3 | 29-21 | 23 |
| 11.სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 13-14 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 16 | 5 | 5 | 6 | 16-21 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-31 | 16 |
| 15.ნიუკასლი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-31 | 16 |
| 16.ჩელსი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-26 | 15 |
| 17.სუონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-24 | 14 |
| 18.ნორვიჩი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-28 | 14 |
| 19.სანდერლენდი | 16 | 3 | 3 | 10 | 17-30 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 16 | 1 | 3 | 12 | 13-30 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბლექბერნი-ნოტინგემი .................. 0:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ზ.პაული .......................... 0:0

**იტალია. სერია ა**

ლაციო-სამპდორია ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 22-9 | 36 |
| 2.ფიორენტინა | 16 | 10 | 2 | 4 | 31-15 | 32 |
| 3.ნაპოლი | 16 | 9 | 5 | 2 | 28-12 | 32 |
| 4.იუვენტუსი | 16 | 9 | 3 | 4 | 25-12 | 30 |
| 5.რომა | 16 | 8 | 5 | 3 | 30-18 | 29 |
| 6.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-19 | 25 |
| 8.ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| 9.ემპოლი | 16 | 7 | 3 | 6 | 20-20 | 24 |
| 10.კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 21-16 | 22 |
| 11.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 12.ლაციო | 16 | 6 | 2 | 8 | 18-25 | 20 |
| 13.ბოლონია | 16 | 6 | 1 | 9 | 17-21 | 19 |
| 14.პალერმო | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 15.უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 14-24 | 18 |
| 16.სამპდორია | 16 | 4 | 5 | 7 | 22-26 | 17 |
| 17.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 18.ფროზინონე | 16 | 4 | 2 | 10 | 15-30 | 14 |
| 19.კარპი | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |
| 20.ვერონა | 16 | 0 | 7 | 9 | 11-26 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-ტრაპანი ............................ 4:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანსი-ბელენენსეში ........................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-ბელენენსეში ................ 4:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-პაოკი ...................... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-გალათასარაი ............. 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-კორონა ......................... 2:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ექსპერტთა ვარაუდები: იანვრის სასურველი ტრანსფერები




იანვრის სატრანსფერო პერიოდში ყველა კლუბი შეეცდება შემადგენლობის გადახალისებასა და ახალი ძალის დამატებას. ლეო მესის, ნეიმარისა და კრიშტიანუ რონალდუს გადაბირება ყველას რომ სურს, ნათელია, მაგრამ მათი გადაბირება ასე იოლიც არ არის. ისინი სხვა საფეხბურთო სამყაროს მიეკუთვნებიან.

სამაგიეროდ, გუნდები აქტიურად ცდილობენ სხვა სასურველი ფეხბურთელების ხელში ჩაგდებას. შესაძლო ტრანსფერების თაობაზე მედიაში ბევრი ჭორ-მართალი იწერება. კლუბები ფეხბურთელებით დაინტერესებას გამოხატავენ.

დასავლურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თუ, ვინ იქნება 10 ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში:

**ლარს ბენდერი – ლევერკუზენი**

ბენდერი ძალიან მაღალი კლასის ნახევარმცველია, რომელიც ლევერკუზენის ღირსებას იცავს. მართალია, ბენდერს სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მისით ლონდონის არსენალია დაინტერესებული.

**ჯეიმი ვარდი – ლესტერი**

წლის აღმოჩენა – ლესტერის რეკორდსმენი თავდამსხმელი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში საკმაოდ მოთხოვნადი ფეხბურთელი იქნება.

**გონსალო იგუაინი – ნაპოლი**

სპეციალისტთა აზრით, არგენტინელი თავდამსხმელი კარიერის საუკეთესო ფორმაში იმყოფება, აქედან გამომდინარე მისთვის ნაპოლის შემადგენლობაში ევროპის ლიგაზე თამაში ალბათ ცოტაა და მეტს იმსახურებს.

**გჟეგოჟ კრიხოვიაკი – სევილია**

ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელი. კრიშოვიაკი ჯერ პოლონეთის ნაკრებთან ერთად სტუმრობდა საქართველოს, შემდეგ უეფას სუპერთასზე სევილიასთან ერთად. პოლონელი ფეხბურთელი ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, ამიტომ მისით დაინტერესებას რამდენიმე კლუბი გამოთქვამს, ყველაზე აქტიური კი, ლონდონის არსენალია.

**სალვატორე სირიგუ – პარი სენ-ჟერმენი**

პარიზული კლუბის მეკარე ძირითად შემადგენლობაში კევინ ტრაპმა შეცვალა, აქედან გამომდინარე, იგი, სავარაუდოდ, არც ისე ძვირი ეღირება მომავალ სატრანსფერო ფანჯრის დროს. პლუს, სირიგუმ უარი თქვა ჩემპიონთა ლიგაზე შახტარის წინააღმდეგ ეთამაშა, რადგან კლუბის შეცვლის შემთხვევაში სხვა კლუბში ლიგაზე თამაშის უფლება არ ექნება.

**ეზეკიელ ლავეცი – პარი სენ-ჟერმენი**

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც იანვარში, სავარაუდოდ, კლუბს გამოიცვლის, ეზეკიელ ლავეცია. მის ტრანსფერს პრემიერლიგის რამდენიმე კლუბში ვარაუდობენ.

**საიდო ბერაჰინო – ვესტ ბრომვიჩი**

ინგლისის პრემიერლიგაში კიდევ ერთი საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, ვესტ ბრომვიჩის ფეხბურთელი კლუბს მალე შეიცვლის.

**ანტუან გრიზმანი – ატლეტიკო მადრიდი**

მადრიდული კლუბის ლიდერობის შემდეგ ანტუან გრიზმანი ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ფეხბურთელად მოიაზრება. მისით დაინტერესებას ლონდონის ჩელსი გამოთქვამს, რომელიც მის სანაცვლოდ 50 მილიონის გადახდას აპირებს.

**ეშლი კოული – რომა**

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 35 წლის ეშლი კოული ყველა გუნდისათვის სასიკეთო შედეგის მომტანი იქნება.

**ანდრეს თაუნსენდი – ტოტენჰემი**

ინგლისელი ფეხბურთელი ბოლო პერიოდში ტოტენჰემის სათადარიგოთა სკამზე ზის, რის გამოც, სავარაუდოდ, იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს კლუბს დატოვებს. მისი გადაბირება კი ახლავე სურს რამდენიმე კლუბს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გულმკერდში ტკივილი ყოველთვის გულის ბრალი არ არის

**ტკივილი გულმკერდის არეში საკმაოდ ხშირია და მას ექიმთან მიმართვის მიზეზებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.**

**ტკივილი ასევე შესაძლოა გულმკერდის ღრუს სხვა ორგანოების ან კუჭ-ნაწლავის დაავადების, ასევე ხერხემლის მალების ოსტეოქონდროზის, ნევრიტის, ჰერპეს-ვირუსული ინფექციის ბრალი იყოს.**

**ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა გავერკვეთ ტკივილის მიზეზში, დროულად მივმართოთ ექიმს.**



გულის არეში ტკივილის გამომწვევი მიზეზები უამრავია, მიზეზი სეიძლება იყოს გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი; გულის კუნთისა და მისი პერანგის ანთება – მიოკარდიტი, პერიკარდიტი; კარდიომიოპათია, ანევრიზმა, აორტის განშრევება; ფილტვების დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დაავადებები, მათ შორის ვეგეტონევროზი; ქალის კლიმაქტერული მდგომარეობების დროს განვითარებული კარდიოპათია; ოსტეოქონდროზი; ნეკნთაშუა ნევრალგია და მიოზიტი; გულმკერდის მიდამოს ტრავმა; საყლაპავის დაავადებები; დიაფრაგმული თიაქარი; კუჭ-ნაწლავის დაავადებები (გასტრიტის, ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს ხშირია გადაცემითი ხასიათის ტკივილი გულმკერდში).

უმნიშვნელოვანესია ტკივილის ხასიათის გათვალისწინება: ეს ეხება მის აღწერილობას, ლოკალიზაციას, ხანგრძლივობას, კავშირს დატვირთვასთან, სუნთქვასთან, საკვების მიღებასთან, ემოციურ ლაბილობასთან.

მოჭერითი ხასიათის ტკივილი, ზეწოლის გრძნობა, გახვრეტა, აუტანელი ტკივილი უხშირესად გულის მიზეზით არის გამოწვეული (სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი).

უმეტესად ის ლოკალიზდება გულმკერდის წინა წედაპირზე, მკერდის ძვლის უკან ან გულის არეში და ხშირად ახასიათებს გადაცემა მარცხენა ბეჭში, ხელში, ხერხემალში. იშვიათია ტკივილის გადაცემა ქვედა ყბაში, ყურში, კუჭის არეში ან ორივე ზედა კიდურში, რაც ხდება კიდეც სამედიცინო შეცდომების მიზეზი.

სტენოკარდიული შეტევა უმეტესად იწყება მცირე ინტენსივობის ტკივილით და 2-3 წუთის განმავლობაში ძლიერდება. თუ შეტევა 30 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, ინფარქტი უნდა ვიეჭვოთ. თუმცა სტენოკარდიული შეტევა შეიძლება ჰაერის უკმარისობით ან არითმიითაც გამოვლინდეს.

სტენოკარდიულ შეტევას აპროვოცირებს ფიზიკური დატვირთვა, სიცივე, ემოციური სტრესი, ჭარბი საკვების მიღება, თამბაქო, მაღალი არტერიული წნევა, პაროქსიზმული ტაქიკარდია.

გულის მომმარაგებელი სისხლძარღვების მნიშვნელოვანი შევიწროების დროს სტენოკარდია შესაძლოა მოსვენების დროსაც აღმოცენდეს. კიდევ უფრო საყურადღებოა, როდესაც იმატებს შეტევათა ინტენსივობა, ხდება მათი გახშირება/გახანგრძლივება, რასაც არასტაბილურ სტენოკარდიას ვუწოდებთ და ზოგჯერ ის ინფარქტით სრულდება.

სტენოკარდიულ ტკივილს ამცირებს ნიტროგლიცერინის მიღება ენის ქვეშ, მაგრამ ინფარქტის დროს შეიძლება ეს მანევრი უშედეგო აღმოჩნდეს.

პერიკარდიტის დროს ტკივილი ასევე მწვავე შეიძლება იყოს, ხშირად ის ეშლებათ ინფარქტით გამოწვეულ ტკივილშიც. ახლავს ტკივილის გაძლიერება ფონენდოსკოპის ზეწოლის, სუნთქვის დროს. არ ცვლის ნიტროგლიცერინი.

ტკივილი ძირითადად მუდმივი ხასიათისაა და ტალღოვანია მიოკარდიტის და კარდიომიოპათიის დროს. ხშირია საერთო სისუსტე, ჰაერის უკმარისობა, გულისფრიალი, ადვილად დაღლა, შეიძლება თან ახლდეს ტემპერატურის მომატება.

განსაკუთრებით მკვეთრი ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს აორტის დაავადებებმა, რაც შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს;

ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს ძლიერ ტკივილს ახლავს ჰაერის უკმარისობა, ხშირია ხველა ჟანგისფერი ნახველით, ციანოზი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დაავადებების დროს ტკივილი ან მუდმივი, ყრუ ხასიათისაა ან პაციენტები აღწერენ ჩხვლეტას ერთ წერტილში, გულის არეში. ახლავს ემოციური აშლილობა, დაქვეითებული გუნებგანწყობა, შფოთვა, უძილობა, გულის დაავადების არსებობის შიში. ხშირია თანმხლები ვეგეტატიური რეაქციები – გულის ფრიალი, წამოხურება.

ქალებს კლიმაქტერიულ პერიოდში ხშირად აქვთ გულის არეში ტკივილი, რომელიც უფრო მეტად ემოციურ დატვირთვას უკავშირდება, ნაკლებად ფიზიკურს, ხშირად თან სდევს წნევის მატება, ალების და სიმხურვალის შეგრძნება გულმკერდის ზედა ნახევარში. თუმცა ამ ასაკში არც სტენოკარდია არის გამორიცხული.

ნეკნთაშუა ნერვებისა და კუნთების დაავადების (მიოზიტი) დროს ტკივილი ხერხემლის სვეტიდან გულმკერდის წინა კედლისკენ არის მიმართული. ხშირად ვრცელდება ნეკნების გაყოლებით და ძლიერდება მოძრაობის, ზეწოლის დროს.

როდესაც ამ ხასიათის ტკივილს თან ახლავს გამონაყარიც იგივე მიდამოში, ეს აადვილებს დიაგნოზს, ეს არის ვირუსული დაავადებით, ჰერპეს-ზოსტერით გამოწვეული ტკივილი.

ოსტეოქონდროზით გამოწვეული ტკივილი უმეტესად საშუალო და მოხუცებულ ასაკში გვხვდება. ძლიერდება მოძრაობის დროს, საწოლში გადაბრუნება-გადმობრუნებისას, ხშირად ახლავს თან დაბუჟების შეგრძნება კიდურებში.

სასუნთქი სისტემის სხვადასხვა დაავადებების დროს (პლევრაში და ფილტვში მიმდინარე ნებისმიერი ანთებითი პროცესი, რომელიც პლევრის ახლოს არის ლოკალიზებული: მშრალი და ექსუდაციური პლევრიტი, პლევროპნევმონია, აბსცესი, ტუბერკულოზი, ფილტვის ინფარქტი, სიმსივნის მეტასტაზი პლევრაში) ტკივილი გულმკერდში გამჭოლია, ძლიერდება ღრმა ჩასუნთქვისა და ხველის დროს. გულმკერდის მოძრაობის შეზღუდვა ტკივილს ასუსტებს, ამიტომ პაციენტი ხშირად სუნთქავს ზერელედ, ზოგავს გულმკერდს, დაავადებულ მხარეს წოლას ამჯობინებს. გარდა ამისა, ხშირად იჩენს თავს სასუნთქი სისტემის დაავადებებისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები: ხველა, სუნთქვის გაძნელება, ტემპერატურის მომატება, საერთო სისუსტე და ოფლიანობა.

პნევმოთორაქსის დროს ტკივილი ასევე ძლიერია და უეცრად იწყება, ახლავს ძლიერი ქოშინი და სულხუთვა, ციანოზი, გულმკერდის კონკრეტული მხარის ჩამორჩენა სუნთქვაში, პულსის აჩქარება. დიაგნოზი ისმება რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგად.

საყლაპავი მილის დაავადებების (ეზოფაგიტი, დივერტიკული, წყლული) დროს ტკივილი პერიოდულად ვითარდება და ლოკალიზდება მკერდის ძვლის უკან, ზოგჯერ გადაეცემა ზურგში და ეპიგასტრიუმის არეში, რის გამოც შეიძლება შეცდომით სტენოკარდიად იქნას შეფასებული. თუმცა ის ხშირად კავშირშია საკვების მიღებასთან, თან ახლავს ყლაპვის გაძნელება, ამობოყინება, ზოგჯერ გულძმარვა, ტემპერატურის ზომიერი მატება.

მსგავსი ხასიათის ტკივილი კუჭის ან თორმეტგოჯა შეიძლება იყოს ნაწალავის წყლულის დროს და ასევე კავშირშია შიმშილთან ან საკვების მიღებასთან. არ ძლიერდება ფიზიკური დატვირთვის დროს და არ ქრება მოსვენების დროს. ზოგჯერ მას ამცირებს სოდიანი წყლის ან ანტაციდების მიღება. ასეთ ტკივილს არ ამცირებს ნიტროგლიცერინი.

გულის არეში ძლიერ ტკივილს ან ყრუ ხასიათის მუდმივ ტკივილს შეიძლება იწვევდეს ნაღვლის ბუშტის დაავადებები (ნაღველკენჭოვანი დაავადება ან ქრონიკული ქოლეცისტიტი) და ცნობილია ქოლეცისტოკარდიული სინდრომის სახელწოდებით. ეს არის გადაცემითი ტკივილი გულმკერდში და სტენოკარდიისაგან მისი დიფერენცირებისათვის ხშირად აუცილებელი ხდება ეკგ და ექოსკოპიური კვლევის ჩატარება.

ტკივილი მკლავში ან ბეჭში გადაეცემა ზოგჯერ მასტოპათიების დროსაც. მას არ აქვს კავშირი ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვასთან. ასეთმა ქალებმა აუცილებელია ჩაიტარონ სკრინინგული კვლევა მამოლოგთან, ექოსკოპია, მამოგრაფია.



მკურნალი მცენარე

# სამკურნალო მცენარეების უკუჩვენებები

**ალოე** – უკუჩვენება აქვს თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, საშვილოსნოდან სისხლდენის, ბუასილის, ცისტიტისა და ორსულობის დროს.

**ჩვეულებრივი ანისული** – შეიძლება გამოიწვიოს ფიტოდერმატიტი, კონტაქტური დერმატიტი.

**კატაბალახა** – მისი ხანგრძლივი გამოყენება დიდი დოზით დაუშვებელია, ასეთ დროს მას დამთრგუნველი ქმედება აქვს. იწვევს თავის ტკივილს, პირღებინებას და არღვევს გულის მუშაობის რიტმს.

**არყის ხის კვირტები** – აღიზიანებს თირკმელებს, ამიტომ ექიმის კონტროლის გარეშე მისი ნაყენის სმა, როგორც შარდმდენი საშუალების, დაუშვებელია.



**ბროწეულის ნაყოფის წვენი** – აუცილებლად წყალნარევი უნდა მიირთვათ, რადგან ის შეიცავს ბევრ მჟავას, რომელიც კუჭს აღიზიანებს და შლის კბილის მინანქარს.

**ბროწეულის ქერქის ნაყენიც** საფრთხილოა, რადგან მისმა გადამეტებულმა დოზამ შეიძლება თავბრუსხვევა, მხედველობის გაუარესება და კრუნჩხვები გამოიწვიოს.

**სურნელა** – მიღება დაუშვებელია ორსულობის პერიოდში, რადგან იგი იწვევს ნაყოფის მოცილებას.

**ჟენშენი** – წამლები უნდა დამზადდეს წელიწადის ცივ დროს. დიდი დოზა და ხანგრძლივი მიღება იწვევს უძილობას, თავისა და გულის ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას.

**ძახველი** – იმის გამო, რომ ეს მცენარე შეიცავს პურინების გადამეტებულ რაოდენობას, მისი დიდი დოზით მიღება დაუშვებელია ნიკრისის ქარისა და თირკმელების დაავადების დროს.

**ჭინჭარი** – ამ მცენარეს ექიმის რეკომენდაციის გარეშე ნუ მიიღებთ, რადგან მისგან დამზადებული პრეპარატები არაა რეკომენდებული მაღალი პოთრომბინის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის დროს. ასევე უკუჩვენება აქვს სისხლდენისას, რომელიც გამოწვეულია კისტით, პოლიპებითა და საშვილოსნოს სიმსივნით. ჭინჭრის პრეპარატები არ უნდა მიიღონ მათ, ვისაც თირკმელები აწუხებთ.

**კაკალი** – ნიგვზეულობისა და თხილეულის ჭამისას ზომიერების დაცვა აუცილებელია, რადგან მისი დიდი რაოდენობით მიღება იწვევს თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმს, რაც თავის წინა მხარის ტკივილებს განაპირობებს.



# ასტროპროგნოზი

## 16 დეკემბრისათვის



**ვერძი** – იდეების რეალიზებაში ახალი პარტნიორები დაგეხმარებიან. ბიზნესკონტაქტები გაამართლებს. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. ზედმეტი ნდობა ადამიანების მიმართ დაგაზარალებთ. **კურო** – ნოსტალგია შემოგაწვებათ. შესაძლოა, ძველ სიყვარულს შეხვდეთ. ფულს შოულობთ. გააკონტროლეთ შემოსავალი და გასავალი. **ტყუპები** – სულიერ სრულყოფას მეტი დრო დაუთმეთ. პროფესიულ სფეროში აქტიურობა წარმატებას მოგიტანთ. გადაწყვეტილებას უცებ ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – ნუ იქნებით აგრესიული. დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **ლომი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დაიცავით დიეტა. ოჯახური პრობლემების მოგვარება დიდ ენერგიას წაგართმევთ. **ქალწული** – აქტიურობა სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, თუმცა – მხოლოდ მძიმე შრომის შედეგად. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებული არ არის. მოსალოდნელია ფინანსური ზარალი. იმედგაცრუება გელით. გრძნობებს ნუ აჰყვებით. **მშვილდოსანი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. მიზნის მიღწევაში საიმედო პარტნიორები დაგეხმარებიან. თქვენი შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა გამართლებულია. პირად ცხოვრებას მიხედეთ, ასევე იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველ შთაბეჭდილებას არ ენდოთ. გელით პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – სრულყავით ცოდნა, ასევე აუცილებლად შეურიგდით ადამიანებს, რომლებთანაც კონფლიქტი გაქვთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 2. პირველი იაპონური ხელოვნური თანამგზავრი; 3. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 5. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 6. ლეჩხუმის ძველი სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 9. კალიფორნიის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ისტორიული სამეფო; 14. სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 16. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი.

**თარაზულად**: 1. პოპულარული ტყეპარკი პარიზში; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. მატყლით ან ბამბით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 8. დიდი ბუ; 12. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული ხე, თესლისგან იღებენ ზეთს, ხის წებოს; 13. სტადიონი მეხიკოში; 15. მძლავრი ბუნებრივი მოვლენა; 17. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ქართული უვადო ხმალი; 21. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიტი; 2. აკაბა; 3. აგავა; 5. ტაბორი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. „მირანგულა“; 11. ჯვრისწერა; 14. ურო; 16. ესკიმო; 18. „დილა“.

**თარაზულად:** 1. ფელახი; 4. პოტომაკი; 7. სავანა; 8. „ვანდომი“; 12. აკინი; 13. კუმისი; 15. ფაგოტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ღალია; 21. საღამო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭოტი; 2. შატლი; 3. „მთიელი“; 5. ლარდი; 6. „გრუნდიგი“; 8. ტრიფოლიატი; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. ლეჩაქი; 15. კოპიჭი; 16. „გუელი“.

**თარაზულად:** 1. ჭყვიში; 4. ალტინგი; 7. „ვიტესი“; 9. ლევილი; 11. გირკანი; 12. აისბერგი; 13. ურარტუ; 17. პრესტო; 18. საკე; 19. სიკოფანტი; 20. ფილიდორი.

# ბარბარა სამხარაძე „ნიჭიერის“ ფინალისტია



სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ მეექვსე სეზონის მეორე ნახევარფინალში მაყურებელმა და ჟიურიმ თავისი რჩეულები დაასახელა.

მეორე ნახევარფინალი მაყურებლისთვის მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. ჟიურის მეხუთე წევრი ლევან წულაძე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა შეცვალა, რომლის ენამოსწრებულმა რეპლიკებმაც დარბაზში მყოფებიც და მონაწილეებიც ძალიან გაამხიარულა.

„ნიჭიერის“ ამ ტურმა რეიტინგების ყველანაირი რეკორდი მოხსნა და 33,7 პროცენტით უპირობო ლიდერი გახდა. რაც შეეხება მონაწილეებს, მეორე ნახევარფინალში მაყურებლის წინაშე წარდგნენ მომღერალი ბარბარა სამხარაძე, გერმანელი როლერები, მარიას და გაბრიელას დუეტი, სპორტსმენი ენვერ ცეცხლაძე, ბალანსის წარმომდგენი რიკარდო, მოცეკვავეები თაზო და ლიკა, ანსამბლი „ბერიკაცები“, როლერები.

წამყვანების ინფორმაციით, მეორე ნახევარფინალში სულ შევიდა 29.529 ხმა, მათგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო ბარბარა სამხარაძემ და 73,7 პროცენტით ფინალისტი გახდა. ჟიურიმ ფინალში გერმანელი როლერები გადაიყვანა. ბარბარას და მარიას დუეტს კი მისცა შანსი, ხმის მიცემით გახდნენ ლიდერები და ფინალში მოხვდნენ.

„ნიჭიერი“ აძლევს შანსს მაყურებელს, აპლიკაციის მეშვეობით კიდევ ერთი ფინალისტი გამოავლინოს. ამ ეტაპზე აპლიკაციით ხმის მიცემა შესაძლებელია მოცეკვავეთა ჯგუფ „სვაგერსისთვის“ და მოცეკვავეების მარიასა და გაბრიელასთვის. მომავალ ორშაბათს მათ კიდევ ერთი კონკურსანტი დაემატება.

# ნანატრი „აბესალომ და ეთერი“ ქუთაისის ოპერაში



ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ნანატრი პრემიერა 19 დეკემბერს გაიმართება.

წლების განმავლობაში, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სათანადო ფინანსური რესურსის უქონლობის გამო, ვერ ხერხდებოდა სპექტაკლების განახლება და პრემიერების ჩვენება. თეატრში პრემიერა ბოლოს 4 წლის წინ გაიმართა და ლეონკავალოს „ჯამბაზები“ იქნა წარმოდგენილი.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თეატრი კვლავ იწვევს მსმენელებს საპრემიერო ჩვენებაზე, რაც თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ირინე ლომინაძის მმართველობის პერიოდში პირველი პრემიერაა.

– ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული სამუსიკო კლასიკის იმ შედევრების რიგს განეკუთვნება, რომლის რეპერტუარში ყოფნა აუცილებელია ქართული საოპერო თეატრებისთვის, – აცხადებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# TV პროგრამა

ოთხშაბათი, 16 დეკემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**რადგან ბეისბოლი მიყვარს**" (კ.კოსტნერი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** მხ/ფ "**კონსპირატორი**" (კ.კლაინი) **00.00** "კომუნიკატორი" **01.50** მხ/ფ "**ბნელეთის ადამიანი**" (ლ.ნისონი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.0, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**კრიმინალური სამყარო**" (რ.დე ნირო) **02.45** მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" (ა.ეკჰარტი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "მირონის კურთხევა" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "ველური ბუნება-ჰიპოპოტამების ტრაგედია" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ "ნარკომანია" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **1** ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ "ბარბაროба" **00.40** დ/ფ "რვა ტყვია" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მყნოსავი-1**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

ძმა გიზო ოთარაშვილი, რძალი მარინე ტატიშვილი, ძმისშვილები გელა და თამარ ოთარაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რობიკო ოთარაშვილი**

პანაშვიდი: 15, 16 დეკემბერს.
დაკრძალვა: 17 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ჭოპორტის 5 (სანზონა).

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პარტიის საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის იოსებ ლევერაშვილის მეუღლის ძმის

**დიმიტრი ბაშელეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

## არდავიწყება

**უფალო, ვლოცულობთ და მუხლმოდრეკით გევედრებით – შენს სასუფეველში ამყოფე**

**მალხაზ აბულაძის**

**სული!**



20 დეკემბერს სრულდება ორმოცი დღე მალხაზ აბულაძის გარდაცვალებიდან.

ჩვენ, საქართველოს შეიარაღებული ძალების გვარდიის გაგრის ბატალიონის მებრძოლებს, დაგვრჩა უდიდესი ტკივილი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ზრდილი, თავაზიანი თანამებრძოლის, ჭირსა და ლხინში თანამდგომი მეგობრის უდროოდ დაკარგვის გამო.

მალხაზი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც გაგრის ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა და იარაღით ხელში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

აფხაზეთის ქართველობას, სოხუმს, მის ქუჩებს, გარეუბნებს აკლია ეს სულით ლამაზი, უდრეკი ნებისყოფის ქართველი კაცი, რომლისთვისაც სამშობლოსათვის თავგანწირვა იყო ღვთისგან ბოძებული მადლი. ის თავაწეული იბრძოდა და მისი სახელი უკვდავია აფხაზეთისათვის მებრძოლთა მეხსიერებაში.

მისი ახალგაზრდული ენერგია ყოველთვის იყო მიმართული სიკეთისკენ, კაცობისკენ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვისაკენ.

მას სჯეროდა უკვდავების და ამიტომაც ყველა პრობლემას ღიმილით ხვდებოდა. საბრძოლო დავალებასაც ღიმილით იღებდა. მან ეს წუთისოფელიც ღიმილით დატოვა, რადგანაც სწამდა, რომ გარდაცვალება ადამიანის დაბადებისთანავე მისი არსებობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

მალხაზ აბულაძის სახით კიდევ ერთი მეომარი მიუახლოვდა უფლის კარს. საქართველოს ზეციურ მხედრობას კიდევ ერთი მებრძოლი შეემატა ლეგენდარული „გაგრის ბატალიონიდან“.

უფალი ნათელში ამყოფებს შენს სულს. შენი თანამებრძოლებისთვის შენ უკვდავი ხარ!

*გაგრის ბატალიონი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

სპორტი

# რეალის მწვრთნელად შეიძლება ზიდანი დაინიშნოს



მადრიდის რეალი ბოლო პერიოდში ცუდ შედეგებს აჩვენებს. გუნდი ლიდერებს, ბარსელონასა და ატლეტიკოს, უკვე 5 ქულით ჩამორჩება და ჯერჯერობით რეალის თამაშში პროგრესი არ ჩანს.

ამ ყველაფრის გამო სულ უფრო ხშირად არის საუბრები რაფაელ ბენიტესის გათავისუფლების შესახებ.

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბენიტესის ნაცვლად რეალს სათავეში ზინედინ ზიდანი ჩაუდგება, რომელიც ამჟამად მეორე გუნდის მწვრთნელია.

ჯერჯერობით ამ ინფორმაციას არ ადასტურებს რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, თუმცა, როგორც წესი, მსგავს ინფორმაციაში ყოველთვის არის სიმართლის მარცვალი.

# მესიმ ნეიმარი შეაქო



შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული, ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს. მისი კარგი თამაში არც მსოფლიოს 4-გზის საუკეთესო ფეხბურთელს ლიონელ მესის გამოჰპარვია და არგენტინელმა მაესტრომ თავისი თანაგუნდელი შეაქო.

– როდესაც ნეიმარი ჩვენთან გადმოვიდა, ის უკვე ძლიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ წლების განმავლობაში ნეიმარი უფრო დაიხვეწა და ამჟამად ის თითქმის სრულყოფილია. ძალიან მიხარია, რომ მასთან ერთად ვთამაშობ, რადგან ეს უდიდესი სიამოვნებაა, – განაცხადა მესიმ.

ნეიმარს ამჟამად მცირე ტრავმა აწუხებს, რომლის გამოც ის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალს გამოტოვებს. ეს შეხვედრა 17 დეკემბერს გაიმართება და ბარსელონის მეტოქე ჩინური გუანჩჟოუ იქნება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ფაჩულიას ქულმწირი მატჩი

ზაზა ფაჩულიას დალას მავერიკსმა მორიგი მატჩი მოიგო – ტეხასელებმა ფინიქს სანსს უმასპინძლეს და მეტოქე 104:94 დაამარცხეს. ქართველმა ცენტრმა, რომელიც ორმაგ დუბლებში ლიგის ერთ-ერთი ლიდერია, ფინიქსელებთან ჩვეული „ულუფა“ მოხსნების კუთხით შეასრულა, ქულებში კი მისი მონაგარი ამჯერად მწირი გამოდგა.

ზაზა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი მიითვალა და შეხვედრა 4 ქულით დაასრულა. სამაგიეროდ, ქართველი ცენტრი ფარქვეშ დომინირებდა და დალასელთაგან ყველაზე მეტი – 12 მოხსნა მიითვალა. საბოლოო ჯამში მის ანგარიშზე 4 ქულა, 12 მოხსნა და 3 ჩაჭრა დაგროვდა.

დალასელთაგან საუკეთესო შედეგი რეიმონდ ფელტონმა დააფიქსირა, რომელმაც 17 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. ბომბარდირობა 18 ქულით დერონ უილიამსმა შეითავსა, დირკ ნოვიცკის ანგარიშზე კი 14 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

14 მოგებითა და 11 მარცხით დალასელები დასავლეთ დივიზიონში მე-5 ადგილზე არიან. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი ინდიანაპოლისში ინდიანა პეისერსთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. გემთმშენებელი საწარმო; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ნელი მუსიკალური ტემპი; 6. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. პოპულარული პლაჟი რიო-დე-ჟანეიროში; 10. სიბრძნის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. სტატიის, მოხსენების მოკლე შინაარსი; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 16. ჩინური ფინიკი.

**თარაზულად**: 1. მდინარე პრაღაში; 4. ხორვატიელი სიმაღლეზე მხტომელი ქალი, მსოფლიო რეკორდსმენი; 7. გულუხვი მასპინძელი; 9. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 11. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ჰერალდიკაში, მოკლე წარწერა გერბზე; 17. მაკედონიის დედაქალაქი; 18. ემილ ზოლას რომანი; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. უბანი ქუთაისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 დეკემბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.401

ევრო — 2.6315

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6409

100 რუსული რუბლი — 3.4083

**ამინდის პროგნოზი 16 დეკემბრისთვის**




# გია ნიჟარაძემ და ირაკლი აბუსერიძემ კანდიდატურები მოხსნეს

## განხეთქილება რაგბის სამყაროში დასრულდა?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე ატეხილი აჟიოტაჟი სარაგბო სამყაროს გადაეცა. ფეხბურთის ფედერაციის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მოსალოდნელიც იყო, რასაც ვერ ვიტყვით სარაგბო სამყაროზე, რომელიც ჩაკეტილ და ერთსულოვან ოჯახად ითვლება.

ბოლო დღეებში ეს ოჯახი გაიყო.

20 დეკემბერს რაგბის კავშირში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართულიყო. კანდიდატთა რეგისტრაცია 11 დეკემბერს დასრულდა. მოქმედ პრეზიდენტ გია ნიჟარაძესთან ერთად გამარჯვებისთვის ირაკლი აბუსერიძეს უნდა ებრძოლა.

მოგვიანებით გავრცელდა ხმები, რომ აბუსერიძის გაპრეზიდენტება გადაწყვეტილი ამბავი იყო, რადგან მხარდაჭერა მაღალი სამთავრობო ეშელონებიდან ჰქონდა, თან აბუ თბილისის საკრებულოს დეპუტატია „ქართული ოცნებიდან".

ირაკლი აბუსერიძე ერთა თასის ერთადერთი 5-გზის მფლობელი და 3 მსოფლიო თასის მონაწილეა. ის 1977 წლის 25 ნოემბერს თბილისში დაიბადა. ირაკლი საქართველოს




ნაკრებს წლების მანძილზე კაპიტნობდა და უკანასკნელად ბორჯღალოსნების შემადგენლობაში 2013 წლის 9 მარტს, ესპანეთთან მოგებულ შეხვედრაში ითამაშა.

აბუმ ნაკრებში 13 სეზონი გაატარა. მონაწილეობდა ერთა თასის 12 გათამაშებაში და 5-ჯერ გახდა ჩემპიონი. 85 ჩატარებულ შეხვედრაში მის ანგარიშზე 7 ლელოა, სამ მსოფლიო თასზე კი 11 მატჩი გამართა. აბუსერიძე 2007 წლიდან კაპიტნობდა ბორჯღალოსნებს და ამ სტატუსით სარეკორდო 38 შეხვედრა ჩაატარა.

ამჟამად აბუსერიძე რაგბის კავშირის სპორტული დირექტორია.

აბუსერიძის გუნდში მოიაზრებიან ასევე ვეტერანი მორაგბეები ირაკლი მაჩხანელი და ილო ზედგინიძე. სამივე მათგანს დიდი ხანია, რაც აქტიური რაგბისთვის თავი აქვს დანებებული და სწორედ რაგბის კავშირმა დაასაქმა სხვადასხვა სოლიდურ თანამდებობაზე.

გია ნიჟარაძე ბოლო 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს რაგბის კავშირს და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მენეჯერი აღმოჩნდა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# „ჩემი ცოლის დაქალები" სკანდალში გაეხვია

ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" სკანდალში გაეხვია. ერთ-ერთ ბოლო სერიაში მოქმედება ბავშვთა სახლში განვითარდა, სადაც დაწესებულების ხელმძღვანელის გადამეტებული სიმკაცრე იქნა წარმოჩენილი. ამ შემთხვევას სერიალის პროდიუსერი **ირაკლი საღინაძე** გამოეხმაურა:



– „ჩემი ცოლის დაქალები"-ს სერიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ქება და დიდება, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ამ ყველაფერს ახლდა პარასკევის სერიასთან მისი შედარება და იმ სერიის ლანძღვა. ამ ყველაფერმა გამიჩინა სურვილი გამეზიარებინა თქვენთვის საკუთარი აზრი. სრულიად გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად ბავშვთა სახლის თემის სენტიმენტალურობის და ქეთას უმაგრესი თამაშისა, პარასკევის სერია მინიმუმ 100-ჯერ უფრო ტრაგიკული და ემოციური იყო, ამასთან ერთად, ძალიან მაღალი ხარისხის იუმორით და გაცილებით ღრმა და რთული ადამიანური დილემებით. იდეაში მე რა მენაღვლება, ვინც ზედაპირზე ეძებთ შთაბეჭდილებებს, თქვენ კარგავთ დიდ სიამოვნებას.




სერიალში ბავშვზე ძალადობის სცენის გამო სპეციალური განცხადება გაავრცელა **ასოციაციამ „ბავშვი და ოჯახი"**:

– გვსურს გამოვეხმაუროთ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" გასულ სერიას, სადაც ნაჩვენები იყო ბავშვთა სახლში არსებული სიტუაცია და დამოკიდებულება.

გვინდა განმარტების სახით გაუწყოთ, რომ საქართველომ განახორციელა ბავშვზე ზრუნვის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც 2011 წელს დაიხურა დიდი ზომის ინსტიტუციები, ე.წ. ბავშვთა სახლები და გაიხსნა მცირე საოჯახო ტიპის სახლები. აღნიშნულ სახლში ცხოვრობს 8-10 ბავშვი და მათთან მუშაობა ხორციელდება ინდივიდუალური მიდგომის მეთოდის გამოყენებით.

სერიალში გასული კადრები არ შეესაბამება დღევანდელ არსებულ რეალობას. შემაშფოთებელია კადრები, სადაც ბავშვებს, როგორც ნივთებს, ისე ექცევიან. გამოყენებულია დასჯის ადრეული საუკუნეების მეთოდები.

სერიალში გასული სიუჟეტი ასევე ახდენს ამ დროისათვის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დისკრიმინაციას და საზოგადოებას უმძაფრებს განცდას, თითქოს ისინი არიან ასოციალური ქცევის მატარებელი ბავშვები.

მოვუწოდებთ ყველა მედია საშუალებას, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს, პატივი სცენ ბავშვთა უფლებებს, არ მოახდინონ ბავშვების და კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაცია, რათა ბავშვებს მივცეთ საშუალება, იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები და საზოგადოებაში არ გავზარდოთ მათდამი სტიგმა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## იუმორი

ფსიქიატრს მამაკაცი ეუბნება:

– ექიმო, დამეხმარეთ, ყოველ ღამე მესიზმრება, რომ მატარებელს ვაწვები და თბილისიდან ბათუმამდე მივაგორებ! დილით სრულიად არაქათ გამოცლილი ვიღვიძებ!

– და რითი დაგეხმაროთ?

– იქნებ წიფის გვირაბამდე მაინც თქვენ მიაწვეთ და მერე მე გავაგრძელებ მიწოლას.

– კარგი, – უპასუხა ექიმმა და გაიფიქრა: „ჯანდაბას ამისი თავი, ოღონდ თავიდან მოვიშორო და..."

– მადლობა ექიმო, – უთხრა მამაკაცმა და წავიდა.

ერთი კვირის მერე მამაკაცი ისევ მივიდა ექიმთან და ისევ დახმარება სთხოვა:

– ახლა, ექიმო, მესიზმრება, რომ თურქეთის სულთანი ვარ და ერთ ღამეში 1000 ცოლთან უნდა დავწვე. დამეხმარე, შენი ჭირიმე, დილით რომ ვიღვიძებ, აღარაფრის თავი აღარ მაქვს.

– მე რა უნდა გავაკეთო?

– ჩემი 500 ცოლი წაიყვანე.

– არა, მხოლოდ ერთს წავიყვან, მატარებელი მყავს წიფის გვირაბამდე ჩასაყვანი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– მართალია, რომ შენმა ცოლმა შენი ახალთახალი პორშე დაამტვრია?

– ჰო, მართალია.

– მერე, როგორ გადარჩა?

– სააბაზანოში ჩაიკეტა!

●●●

მასწავლებელი თავისი მოსწავლის მამას ეუბნება:

– თქვენმა შვილმა მერხზე ბუზი დახატა, ცოცხალს ჰგავდა და სანამ მივხვდი, რომ დახატული იყო, ხელებს ვიქნევდი სულელივით. შევრცხვი მთელი კლასის წინაშე.

– ეგ რა არის, აბაზანაში შესულს იქ დახატული ნიანგი დამხვდა და იქიდან შეშინებული გამოვარდნილი ქუჩაში დახატული კარიდან აღმოვჩნდი.

●●●

მამაკაცი კაფეში ძაღლთან ერთად შედის და იქ მყოფებს ენიძლავება, რომ მისი ძაღლი დაილაპარაკებს. მაგრამ ძაღლი ხმას არ ამოიღებს. მამაკაცი წაგებულ ნიძლავს გადაიხდის და კაფედან დამცინავი შეძახილების ფონზე გამოსული ძაღლს საყვედურობს:

– რატომ არ დაილაპარაკე, შენ გამო რამდენი ფული წავაგე.

– რა სულელი ხარ! წარმოიდგინე, ხვალ რომ შევალთ, რამდენ ფულს მოვიგებთ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# დაკარგული ოქროს თევზები საფეხბურთო კლუბის კართან იპოვეს

დიდ ბრიტანეთში დაკარგული ოქროს თევზები საფეხბურთო კლუბ „კარლაილ იუნაიტედის" კართან ნახეს. გასულ კვირას კამბრიას თავს ქარიშხალი „დესმონდი" დაატყდა. კერძოდ, დაიტბორა კარლაილის სტადიონი „ბრანტონ-პარკი".



გუნდის მოთამაშეები ადგილობრივ მცხოვრებთ ქარიშხლის შედეგების ლიკვიდაციაში ეხმარებოდნენ. თავის მხრივ, ასობით მოხალისემ მონაწილეობა მიიღო „კარლაილ იუნაიტედის" სტადიონის დალაგებაში. ერთ-ერთმა მოხალისემ დეივ მიტჩელმა მოედანზე კარში ნახა სამი ოქროს თევზი. კლუბმა ამ დაუჯერებელი ამბავის თაობაზე ინფორმაცია საკუთარ ტვიტერში გამოაქვეყნა, რის შემდეგაც კლუბს ადგილობრივმა მცხოვრებმა მარკ ჩენდლერმა მიმართა. აღმოჩნდა, რომ მან ცოტა ხნის წინ სწორედ სამი ოქროს თევზი დაკარგა. კლუბმა ამ ამბავს „კიდევ უფრო დაუჯერებელი ამბავი" უწოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქართულ სენსაციად აღიარებული ნინო მაჩაიძე თბილისში იმღერებს

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქართველი საოპერო მომღერალი ნინო მაჩაიძე, რომელსაც ქართულ სენსაციას უწოდებენ და ანჯელინა ჯოლისაც ადარებენ, თბილისში იმღერებს. ხელოვანი დედაქალაქს საგანგებო მისიით უბრუნდება.

ნინო მაჩაიძე 16 დეკემბერს თბილისის საკონცერტო დარბაზში პირველ მასშტაბურ კონცერტს გამართავს. მასთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერლები გოჩა აბულაძე, მიშა ქირია და ოთარ ჯორჯიკია. აღიარებული სოპრანო მაყურებლის წინაშე საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარდგება. საღამოს მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია ნიკოლოზ რაჭველი. შესრულდება არიები, დუეტები და სცენები ცნობილი ოპერებიდან.

ქართველ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცემა მოისმინოს მსოფლიოს წამყვანი თეატრების სოლიტი იმ არიებითა და ნაწარმოებებით, რომლებმაც მას აღიარება მოუტანეს.

„მისი სიმღერა ფერთა გამაა" – ასე აფასებს ნიუ იორკ თაიმსი ქართველ მომღერალს, ჰოლივუდ რეპორტიორი კი მას ქართულ სენსაციას უწოდებს.

ქართველი მომღერალი უცხოეთში მყარად დამკვიდრდა. ამაში ნინოს ხელი იმანაც შეუწყო, რომ მისი მეუღლე გვიდო ლოკონსოლო უცხოელია და ისიც ოპერის მომღერალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

